ეროვნული ბიბლიოთეკა
13

საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი ,,საქართველო'' ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. სვეტის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი ,,საქართველო'' ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეშვიდე. ოთხშაბათი, იანვრის 12, 1921 № 7

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი ჰურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

ღრმად დამწუხრებული ნესტორ გლახუნის ძე და მეუღლე მისი მარიამ ივანეს ასული სიხარულიძენი ოჯახით მწუხარებით აუწყებენ ნაცნობს და ნათესავებს, რომ კვირას, 9 იანვარს საღამოს 8 საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი რძალი,

სოფიო მიხეილის ასული

დოლიძისა

რომლის ცხედრის დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, 12 იანვარს პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე გარდაცვალებულის ბინაზე: სოლოლაკი, სასტუმრო ,,ინტერნაციონალი''.

2—1 3376

ღრმად დამწუხრებული ნოე გ. სიხარულიძე და ოჯახობა მისი მარიამ ივანეს ასული მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ კვირას, 9 იანვარს საღამოს 8 საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის მარად დაუვიწარი და საყ. რძალი,

სოფიო მიხეილის ასული

დოლიძისა

რომლის ნეშთის დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, 13 იანვარს დღის 12 საათზე, პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე გარდაცვალების ბინაზე: სოლოლაკი, სასტუმრო ,,ინტერნაციონალი''

2—1 3375

ნესტორ მიხეილის ძ. უგულავა აუწყებს ნაცნობთ და მეგობრებს

ივანე ოტიას ძე

ქაჯაიას

გარდაცვალებას იანვრის 6-ს ზუბალაშვილების სახელობის თავშესაფარში, რომლის ცხედარი მისივე თხოვნით გადაეცა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკას. ვაუწყებთ ნაცნობთ, და ნათესავთ რომ პანაშვიდი გადახდილი იქნება წმინდა ფეოდოსიის საყდარში კვირას 16 იანვარს

ღრმად დამწუხრებული თავ. ნინა თაემას ასული შერვაშიძისა აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ იანვრის 12-ს 1921 წელს გადახდილი იქნება პანაშვიდი ორი წლის გარდაცვლილ დაუვიწყარ ქმრის პოლკოვნიკ

მიხეილ ლევანისძე

შერვაშიძის

აფხაზეთში სოფ. კვიტოულში საგვარეულო საფლავზე დღის 1 საათ.

არა-სოციალისტურ დემოკრატიულ პარტიათა გაერთიანებული

კონფერენცია

1. კონფერენციას იწვევს საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული და რადიკალ დემოკრატიული პარტიები.

2. კონფერენცია გაიმართება საქართველოს დედა-ქალაქში თბილისში 1921 წლის იანვრის 23-ს, და გაგრძელდება 3 დღე.

3. კონფერენციაზე გამოსაგზავნი დელეგატები აირჩევიან ადგილობრივ არა-სოციალისტურ პარტიათა ორგანიზაციების წევრთა შეერთებულ კრებაზედ, პიროვნულად.

4. თითეული დელეგატი აირჩევა ორას პარტიულ წევრზე, ხოლო არა უმეტეს 1 დელეგატისა არა სოციალისტური პარტიების მიერ დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებულ ყოველ სამას ხმაზე.

5. ამ კონფერენციის მიხედვით, თანახმად მთავარი კომიტეტების ცნობებისა, საერთო რიცხვი დელეგატებისა ნავარაუდევია 160 კაცი, გარდა მთავარი კომიტეტების წევრებისა

6. კონფერენციის წევრთა არჩევნებს ხელმძღვანელობენ ადგილობრივი სამაზრო ან სარაიონო კომიტეტები, თანახმად ამავე ინსტრუქციის მე-4 მუხლისა

7. დელეგატების არჩევნების შესახებ მთელს რაიონში სდგება სათანადო ოქმი, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ იმ რაიონში არსებული არა სოციალისტური დემოკრატიული ორგანიზაციები.

8. ყოველი დელეგატი უზრუნველყოფილი იქნება ბინით.

9. კონფერენციის მოწვევის საქმეს ხელმძღვანელობს ცენტრალური საკონფერენციო კომისია, რომელიც შედგენილია ზემოხსენებულ პარტიათა ხელმძღვანელ ორგანოთა წარმომადგენელთაგან.

მისამართი: დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის ბიურო.

კონფერენციის წესრიგი.

1.

განცხადება ცენტრალური საკონფერენციო კომისიისა პარტიათა გაერთიანების შესახებ და ამ განცხადების განმარტებანი პარტიათა წარმომადგენლების მიერ

2.

მოხსენებანი მომენტის შესახებ: 1) საშინაო მდგომარეობა, 2) საგარეო მდგომარეობა და 3. ეკონომიური მდგომარეობა.

3.

1. პროგრამა და წესდება, 2. საარჩევნო მუშაობა, 3. არჩევნები მთავარ კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

საკონფერენციო კომისია.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

შაბათს, იანვრის 15-ს პრემიერა!

პირველად

მარიამ მაგდალინელი

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მიზანსცენებით.

მონაწილეობს მთელი დასი

მასიური სცენები. ხორო.

მთავარი რეჟისორი ზ. ბერიშვილი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამ წარმოდგენისათვის აღებული ბილეთები 8 იანვრის თარიღით გამოდგება 15 იანვარს.

სახელმწიფო დრამის თეატრი

ხუთშაბათს, იანვრის 13-ს მეექსედ **ბერდო-ზმანია**

პირველად შაბათს, იანვრის 15-ს

მარიამ მაგდალინელი

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მიზანსცენებით

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები კასაში.

სახელმწიფო ოპერა

ოთხშაბათს 12 იანვარს
ბალეტი ,,კარნავალი''
ხუთშაბათს 13 იანვარს
ბოჰემა
პარასკევს 14 იანვარს
,,სიმფონიური კონცერტი''
ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწილეობ.
შაბათს 15 იანვარს
ოპერა მუშებისათვის
კვირას 16 იანვარს
აბესალომ და ეთერი
ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისთვის ორკვირეული ჟურნალი.

წელიწადი მეორე **,,ერობა-''ზე** წელიწადი მეორე

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს ერობის ცხოვრების თეორიული და პრაქტიკული საკითხების ყოველ მხრივ გარკვევა—გაშუქებას.

რედაქცია იმყოფება: რუსთაველის პრ. № 24
ერობათა კავშირის კომიტეტის ბინა. 3—1

სტუდენტთა კავშირის გამგეობა სთხოვს

სტუდენტებს

26 იანვრის

სტუდენტთა დღის

ჟურნალისათვის მოაწოდონ მასალა სტუდენტთა ხასადილოში

საიუბილეო წარმოდგენა

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის

სახალხო სახლი

სახალხო სახლთან არს ქართ. წარმოდგენების მმართველი წრე.
შაბათს, 15 იანვარს 1921 წელს

ელისაბედ (სოფიო) რომანიშვილი—დგებუაძისა

20 წ. სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ გაიმართება იუბილეი

წარმოდგენილი იქნება

ლალაში

დრამა-ლეგენდა 5 მოქმედებათ ა. ი. სუმბათაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, რომანიშვილი დგებუაძისა, ნიბლია, ჩერქეზიშვილი. ბ-ნი: ნ. გოცირიძე, სალაყაია, ნ. ჰანკვეტაძე, ა. მეტრეველი, გ. მინდიაშვილი, ალ. თავდგირიძე, ი. ზურაბიშვილი შანშიაშვილი და სხვანი.

რეჟისორი კ. შათირიშვილი.

ზეინაბის როლს შეასრულებს ს. რომანიშვილი-დგებუაძისა.

იანვრის 7-დან ქ. ქუთაისში გამოვ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიური გაზეთი

ეროვნულ-დემოკრატი.

განცხადება

მაქვს პატივი ამით ვაუწყო ერობათა, კოოპერატივთა, სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებს, რომ ჩემს მიერ გახსნილი იქნა ამა 1921 წლის პირველ იანვრიდან

სავაჭრო, საგენტო-საკომისიო

კონტორა

ა. ს. ლორთქიფანიძისა,

რომელიც მოთავსებულია დამფუძნებელ კრების ქ. № 5, მეორე სართულში, თბილისის კოოპერატივთა კავშირის გვერდზე.

მიღებულია შემდეგი საქონელი:

შაბიამანი ინგლისური საუკეთესო ხარისხისა;
ნიშადური (ნაშატირი) ,, ,,
ხერხები—ბირდაბირები გერმანული მარკისა;
კოჰის ძაფები;
ასანთი საუკეთესო ხარისხისა;
ხელის საპონები ოდესისა;
საკოსტუმო შალი და სხვა.

ფასები ყველა საქონელზე დანიშნულია მასიმუმი.

კონტორა ღია არის დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 ნახევარ საათამდე.

პატივისცემით ალ. ს. ლორთქიფანიძე.

3—3340 —3.

გზათა დეპარტამენტი

აცხადებს

კონკურს მდინარე ენგურსა და რუხის-წყალზე ასაშენებელ რკინისგზის 25 საჟენიან მანძიან თერმების **ხის ხიდების** პროექტის შესადგენად.

საუკეთესო პროექტებისათვის დანიშნულია პრემიები საერთო ჯამით 500.000 მან.

კონკურსის პირობების მიღება შეიძლება გზათა დეპარტამენტის ბუხჰალტერიაში 100 მანეთად ცალი.

მორიგი ნოტა.

დღე არ გავა ისე, რომ რომელიმე საბჭოთა მთავრობამ არ მოჰმართოს საქართველოს, ამა თუ იმ ნოტით.

ორში ერთია: ან იმიტომ ახდენენ ჩვენი მეზობელი ერები ბოლშევიკურ გადატრიალებებს, რომ ჩვენ ნოტები გვწერონ, ან ჩვენზე სწავლობენ ეს ახლად გასაბჭოებული ქვეყნები ნოტების წერას. საბჭოთა სომხეთის უკანასკნელი ნოტა, რომელიც გამოგზავნილია 1920 წლის 29 დეკემბრის თარიღით, კვლავ დაჟინებით მოითხოვს, რათა საქართველოს ჯარმა დასცალოს, ეგრედ წოდებული, ნეიტრალური ზონა. სომხეთს არ მიაჩნია თავისთვის სავალდებულოდ ის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო საქართველოსა და სომხეთის ძველ მთავრობის შორის 13 ნოემბერს 1920 წელს და რომლის ძალითაც ჩვენი ჯარი შევიდა აღნიშნულ ზონაში, სამი მოსაზრების გამო: ყოველი შეთანხმება ,,უნდა ემყარებოდეს და მას მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ პირობებში, რომლებშიაც იგი წარმოიშვა“ო ამის გარდა 13 ნოემბრის ხელშეკრულება ჰგულისხმობს ორ მომენტსა-ანატოლიის მთავრობის თავდასხმას სომხეთზე და იმ საფრთხეს, რომელიც ამისა გამო აისახა ნეიტრალურ ზონის და თვით საქართველოს წინაშე. ვინაიდგან ეს ორივე მომენტი დღეს აღარ არის, საქართველოს არ აქვს უფლება იყოლიოს ნეიტრალურ ზონაში ჯარებიო. და, ბოლოს, საქართველოს არ აქვს უფლება დაემყაროს იმ ხელშეკრულებას, რომელსაც თვითონ არღვევსო, ვინაიდგან საქართველომ გადალახა ნეიტრალური ზონა და დაიკავა კალაგერანი, შაგალი, ჯალალ-ოღლი, ნიკოლაევკა და სომხეთის სხვა უდავო პუნქტებიო.

საბჭოთა სომხეთი იძლევა წინადადებას, რომ საკითხი ნეიტრალურ ზონის შესახებ გადაწყვეტილი იყოს საბჭოთა [illegible] წარმომადგენლის მონაწილეობით.

ასეთია ნოტის შინაარსი.

ის დროს, როდესაც სომხეთის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ანატოლიის მთავრობას უჭირავს და ქემალფაშის ჯარები ყარსში და გუმბრში ბინადრობენ, დიდი კადნიერებაა ბეკზადიანის მხრივ იმის მტკიცება, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოთა წინაშე ღარავითარი საფრთხე არ არის აღმართულიო.

13 ნოემბრის შეთანხმების გამომწვევი მომენტი არ გამქრალა, თვით შეთანხმებაც ძალაში უნდა იყოს.

მაგრამ აქ იჭრება საკითხი: არის თუ არა საბჭოთა სომხეთისთვის სავალდებულო ის ხელშეკრულება, რომელიც დასდო ჩვენთან სომხეთის ძველ მთავრობამ.

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით სახელმწიფოს ყოველი ვალდებულება სხვა სახელმწიფოს წინაშე ძალაში რჩება, იმის და მიუხედავად, გამოიცვლება იქ მთავრობა, ან წესწყობილება თუ არა.

ასეა ყველგან.

საბჭოთა მთავრობები პრინციპიალურად ეწინააღმდეგებიან ამ მცნებას. გასახსენებელია საბჭოთა რუსეთის უარი ძველ ვალზე.

ასევე იქცევა საბჭოთა სომხეთიც. ის არ სცნობს 13 ნოემბრის ხელშეკრულებას, რადგან იგი დაშნაკურ მთავრობამ დასდოო.

მივიღოთ საბჭოთა სომხეთის თვალსაზრისი.

საკითხავია, ამ შემთხვევაში, თუ დასახელებული ხელშეკრულება გაუქმდა, [illegible] კუთვნილებად რჩება ყოფილი ნეიტრალური ზონა.

საჭიროა მოვიგონოთ ამ ზონის ახლ[illegible]ლი ისტორია: ბორჩალოს მაზრის ნაწილი შედიოდა საქართველოს საზღვრებში დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობისა. შემდეგ დაშნაკური მთავრობა ომით წამოვიდა საქართველოზე; საქართველოს მთავრობა არ ელოდა ომს, მოუმზადებელი დახვდა მას, და ამისა გამო პირველ ხანებში ჩვენ მცირერიცხოვან ჯარმა უკან დაიხია. გამოვაცხადეთ თუ არა მობილიზაცია, სასტიკად დავამარცხეთ მტერი და დავედევნეთ მას. მაგრამ... ანტანტის ჩარევის გამო ჩვენ იძულებულნი ვიყავით დაშნაკცაკანურ მთავრობასთან დაგვედო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ბორჩალოს მაზრის ერთი ნაწილი გამოცხადდა ნეიტრალურად.

ვინაიდგან ეს ხელშეკრულება დადებული იყო დაშნაკცაკანების მხრივ, საბჭოთა სომხეთის ლოღიკით, ესეც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს; მით უმეტეს, რომ იგი დადებული იყო ანტანტის ძალდატანებით, და საბჭოთა სომხეთის ნოტაში კი სწერია, რომ ეხლა, მნიშვნელობა ეკარგება იმ არაბუნებრივ დამოკიდებულებებს (კავშირებს), რომლებიც ამიერკავკასიის სახელმწიფოებს თავს მოახვია ანტანტამაო. რადგან, სომხეთისავე აზრით, აღარაა ის აქტი, რომელმაც გაანეიტრალა ჩვენი ტერიტორია, თვით ეს ტერიტორიაც ჰკარგავს ნეიტრალობას და კვლავ უბრუნდება საქართველოს.

საბჭოთა სომხეთი პროტესტს აცხადებს აგრეთვე იმისგამო, რომ საქართველოს ჯარმა დაიჭირა კალაგერანი, შაგალი...

აღნიშნული ადგილები, და თვით ,,ნეიტრალური ზონაც“ შედიან ყოფილ თბილისის გუბერნიის საზღვრებში, და ამიტომ, რუსეთ—საქართველოს უკანასკნელ ხელშეკრულების ძალით, შეადგენენ საქართველოს უდავო ნაწილს.

ამ ტერიტორიის ბატონ-პატრონათ ითვლებოდა აქამდის, თუ არა საქართველო, ყოველ შემთხვევაში—რუსეთი; მან უარი განაცხადა თავის უფლებებზე ჩვენს სასარგებლოდ. ამიტომ ეს ხელშეკრულება სავალდებულოა ყველა მესამე სახელმწიფოსთვის.

საქართველო—სომხეთის ხელშეკრულებანი, კიდეც რომ იცნონ ჩვენ მოპირდაპირეებმა, გაბათილებულნი არიან, რამდენად ისინი ეწინააღმდეგებიან რუსეთ—საქართველოს შეთანხმებას. დაშნაკური მთავრობა ჰღალატობდა იურიდიულ ჭეშმარიტებას, როდესაც იგი სცდილობდა არ ეცნო ეს ხელშეკრულება, ვინაიდგან საქართველომ და რუსეთმა დასდეს იგი სომხეთთან შეუთანხმებლივაო.

მაგრამ... ფსიხოლოგიურად ასეთი ცდა გასაგები იყო.

სულ სხვა ვითარება შეიქნა სომხეთისთვის მას აქეთ, რაც იქ გამოცხადდა საბჭოთა მთავრობა. რადგან ერევანი გადაიქცა მოსკოვის ფილიალურ განყოფილებათ, ის ხელშეკრულება, რომელიც დაგვიდო ჩვენ საბჭოთა რუსეთმა, სავალდებულოა საბჭოთა სომხეთისთვის.

რუსეთის სიტყვას სომხეთისთვის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, და ეს სჩანს თვით სომხეთის ნოტიდან: ბეკზადიანი მოითხოვს, რათა ტერიტორიული დავის გადაჭრაში მონაწილეობა მიიღოს რუსეთის წარმომადგენელმაო.

ჩვენ წინააღმდეგნი ვართ უკანასკნელი წინადადების: საბჭოთა რუსეთი ვერ გამოდგება ობიექტიურ პირათ იმ დავის გადაწყვეტაში, რომელიც სწარმოებს დემოკრატიულ საქართველოს და საბჭოთა სომხეთს შორის.

გარდა მაგისა, საბჭოთა რუსეთმა სთქვა უკვე თავისი სიტყვა, მთელი ყოფილი თბილისის გუბერნია სცნო საქართველოს კუთვნილებათ, და ამიტომ რუსეთის შეკითხვა ამ საკითხის თაობაზე ზედმეტიცაა.

კონფერენციის საგანს სომხეთის აზრით უნდა შეადგენდეს ,,ნეიტრალური ზონის“, ხოლო საქართველოს ნოტის თანახმად—ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილის საკითხი.

ამ უკანასკნელში შედის როგორც ყოფილი ნეიტრალური ზონა, აგრეთვე მის გარეშე მდებარე ბორჩალოს სამხრეთი ნაწილი.

ამ გვარად ჩვენი მთავრობის ნოტა უფრო აფართოვებს საკითხს.

ბამბაკის მდგომარეობა კვლავ გაურკვევლად რჩება.

,,სახალხო მეურნეობა“

სოციალისტური მთავრობა, ერობა-კავშირი, ქალაქთა კავშირი, ცეკავშირი და სხვა და სხვა აგერ მესამე წელიწადია, რაც სახალხო მეურნეობას ეწევიან. ამ ორგანოების მოღვაწეობამ საქართველო ეკონომიურ კატასტროფამდე მიიყვანა და ზოგ დარგში პირდაპირ სკანდალური ხასიათი მიიღო წარმოდგენითაც ძნელი იქნებოდა ქვეყნის ცენტრალი და ადგილობრივი მმართველი ორგანოების ისეთი უნიჭობა და უნიათობა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს სინამდვილეში. სრული დეზორგანიზაცია ყოველგან და ყველაფერში. იშლება და ფუჭდება ყოველი დაწესებულების ინვენტარი. ძველი წარმოებები დაიშალა. ახალი არაფერი შეიქმნა. მაინც და მაინც შეიძლებოდა ახსნა და გაგება სათემო და სამაზრო მართველობათა მიერ დაკისრებული მოვალეობის დაუძლევლობა, მათ მიერ ეკონომიურ ცხოვრების მოუგვარებლობა და უანგარიშობა. ამ ადმინისტრატიულ ერთეულებს არ აქვს არავითარი ტრადიცია თვითმართველობის მეურნეობის და კულტურული საჭიროების მოგვარება-დაკმაყოფილების საქმეში. მაგრამ მაგარი ის არის რომ დღევანდელი ქალაქის თვითმართველობანიც იმავე მდგომარეობაში არიან, რომელშიც თემები და სამაზრო ერობები იმყოფებიან. ქალაქთა დღევანდელმა მესვეურებმა ვერ გამოიყენეს მდიდარი მუნიციპალური ტრადიცია, ვერც ადმინისტრაციის მოწყობის საქმეში და ვერც ქალაქის მეურნეობის გაძღოლაში. საქართველოს ყველა ქალაქი განადგურების პროცესშია ჩაძირული.

მათ შორის ჩვენი დედა ქალაქის მდგომარეობა ყველაზე უფრო მძიმეა. მოქალაქეთათვის ცხოვრება აუტანელი ხდება. არ არის განათება, არ არის ტრამვაი, არ არის წყალი, ქუჩები ჩაქცეულია და დაღრონჩოლოებული. სახლები ინგრევა. უმუშობა და უნახშირობა. უხორცობა. პური საძაგელი. ყველაფერზედ მიუწდომელი ფასები. ქალაქის თვითმართველობამ ვერც ერთ ამ საჭიროებათაგანს ვერავითარი წამალი ვერ დასდო. ვერაფერში ვერ გამოიჩინა თადარიგი და წინდახედულობა. ტყის ქვეყანაში ვერც თვით ქალაქმა, ვერც ქალაქთა კავშირმა და ვერც მომარაგების სამინისტრომ თბილისის მცხოვრებთ შეშა ვერ მიეწოდეს! ჩვეული ვართ ყველაფერი გარეშე პირობებს დავაბრალოთ, ობიექტური მიზეზებით ავხსნათ. მაგრამ ეს სიტყვა მხოლოდ ფარია ცენტრალ და თვითმართველ ორგანოებში მდგარი პირების სრული უსუსურობის. უვიცობა, გამოუცდელობა, ჰონორი და ბატონობის რიხი აქცევს საქართველოს ,,სახალხო მეურნეობას“.

როდის მოვლენ გონს მდგომარეობის ბატონები!

ნოტა რ. ს. ფ. ს. რ. საქართველოში მყოფ სრულუფლებიან წარმომადგენლის თან. დრ. აღმ. სერგო ქავთარაძისა საქართველოს დემოკრატიულირესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართ.

(რ. ს. ფ. ს. რ. საქართველოში მყოფ სრულუფლებიან წარმომ. არსებულ ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენიდან).

ნოემბრის 27 ის თქვენი ნოტის საპასუხოდ მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: ნავთის საკითხის გადაჭრა სავსებით დამოკიდებულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, ვინაიდან რ. ს. ფ. ს. რ. საქართველოში მყოფი სრულუფლებიან წარმომადგენლის მიერ ნოემბრის 13 ს საქ. მთავრობის თავმჯდომარესთან პირადი დარბაზობის დროს მის მიერ მიღებულ ვალდებულებებისა და აგრეთვე დეკემბრის 16 ის თათბირის შეუსრულებლობა იყო ერთად ერთი მიზეზი ნავთის შეწყვეტისა და ვაგონების დაკავებისა. საქართველოში მყოფი რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის დეკემბრის 11 ნოტაში ნათლად იყო ნაჩვენები მოთხოვნილებათა პუნქტები, რომელთა თავის დროზე დაკმაყოფილების შემდეგ საქართველო უთუოდ მიიღებდა ნავთს. მაგრამ როდესაც ხსენებული პუნქტები მიუხედავათ მათი სიმარტივისა,—დღემდე დაუკმაყოფილებელი რჩება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი მცხოვრებლების წინაშე თითონვე უნდა იკისროს პასუხისმგებლობა.

თანახმად დეკემბრის 16 ის მომხდარ შეთანხმებისა რუსეთის გემების რ. ს. ფ. ს. რ.-ზე გადაცემის შესახებ, რწმუნებულთა კომისიის არჩევით საკითხი პრაქტიკულად გადაჭრის საფუძველზე იდგა. მაგრამ საქართველოს მთავრობამ კომისიაში თავის რწმუნებულს არ მისცა უფლება შეთანხმების ფაქტიური რეალიზაციისა, რაც შეიქმნა მთავარი მიზეზი ხსენებული საკითხის გადაუჭრელად გადადებისა და დაბრკოლებისა. რუსეთის გემების ბედი საქართველოს ნავთსადგურებში გაურკვეველი რჩება.

გარდა ამისა საქართველოს ნავთსადგურებში საქართველოს მთავრობის მხრით რუსეთის გემების უყურადღებოდ დატოვება, მესამე პირისთვის ჰქმნის პრეტენზიებსა და გემების გაყვანის შესაძლებლობას.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა უჩვენეს ნავთსადგურის უფროსებს ასეთი შესაძლებლობა და ერთ უდიდეს გემს ,,პრინციპს“, რომელსაც მოწმობაც ჰქონდა დონის როსტოვის მართველობისაგან და გემზედ რუსეთის სავაჭრო დროშა იყო აღმართული, გემი იგი 29 დეკემბრის ღამით ფოთის ნავთსადგურიდან კონსტანტინეპოლში გაიქცა. ეს ფაქტი ჰმოწმობს, რომ საქართველოს მთავრობა არ ასრულებს თავის იმ პირობას, რომელიც აღნიშნულია ჩვენს ნოტაში № 10, 54, 14 დეკემბრის თარიღით, რომელი პირობის ძალითაც საქართველოს მთავრობამ თავს იდო არ გაუშვას ხოლმე რუსეთის გემები საქართველოს ნავთ—სადგურებიდან.

გაუწყებთ რა ყველა ამას, ბატონო მინისტრო, გთხოვთ დაუყოვნებლივ მაცნობოთ: იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის მაგვარი აღარა მოხდეს—რა, რა ზომების მიღებას აპირებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და რა გარანტიას იძლევა იგი, რომ საქართველოს ნავთსადგურებში დაცული იქნება რუსეთის სახელმწიფოს ქონება.

სრულ უფლებიან წარმომადგენლის იმ პუნქტების შორის, რომლებიც წამოყენებულია მის ნოტაში 11 დეკემბრის თარიღით, მესამე და მეორე პუნქტები სრულიად დაუკმაყოფილებელნი დარჩენ. 15 ნოემბრის თარიღით რომ ნოტა გამოიცა, იმ ნოტაში აღნიშნულია რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენლის თქვენთან მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების შემდეგ თქვენ, ბატონო მინისტრო, აღუთქვით წარმომადგენელს რომ გადათვალიერებულ იქნება სიები საქართველოს კომუნისტურ პარტიის იმ წევრთა, რომლებიც დაპატიმრებულნი, ან გადასახლებულნი არიან, რომ შემდეგში განთავისუფლებინათ იგინი, მაგრამ იმ დღიდან ამ დღემდე არც ერთი არ გამოუშვიათ ციხიდან და არც ერთი არ დაუბრუნებიათ საქართველოში.

16 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომადგენლის მონაწილეობით მოხდა ახალი შეთანხმება.

ამ შეთანხმების ძალით დადებული იყო სამი დღის ვადა შეპყრობილ კომუნისტებისადმი ბრალდების წარსადგენად. მათი სია წინდაწინვე განხილული იყო საქართველოს მთავრობის წარმომადგენლისაგან რ. ს. ფ. ს. რ. ყოფილ მრჩეველ სტარკთან ერთად.

დაპირებული სამი დღე უკვე გადის, მაგრამ საქართველოს მთავრობა თავის ვალდებულებას: ან არადგინოს ბრალდება შეპყრობილ კომუნისტებს, ან განათავისუფლოს ისინი საბრალდებულო მასალის უქონლობის გამო, ან გადაასახლოს საქართველოდან,—აქამდის არ ასრულებს. რაც შეეხება იმ ჯგუფობრივ დაპატიმრებას, რომელსაც საქართველოს მთავრობა აწარმოებდა გასულ დეკემბერში, ეს მთავრობა 16 დეკემბრის შეთანხმების ძალით ვალდებული იყო 24 საათის განმავლობაში შეედგინა სწორი სია დაპატიმრებულებისა, დაეყო ისინი კატეგორიებად და შესდგომოდა დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას ამ მასსიურ ექსცესებისას. მაგრამ ამ ვალდებულებათა ასრულების ნაცვლად დღე-ღამის განმავლობაში, 16 დეკემბრის შემდეგ, საგანგებო რაზმის აგენტები სრულებით ანადგურებენ თბილისისა და პროვინციის ქართულ კომუნისტურ პარტიის ყველა ორგანიზაციებს: დახურეს ამ პარტიის თბილისის კომიტეტი, მიკეტ-მოკეტეს სარაიონო ორგანიზაციები, გაზეთები—და კვლავ მოუხდენიათ ახალ-ახალი მასსიური დატუსაღება, რომელიც გრძელდება ამ ხნობამდისაც.

აღნიშნული ფაქტები მხოლოდ ერთს გვიჩვენებენ, ბატონო მინისტრო: რომ საქართველოს მთავრობა არ ასრულებს თავის თავზე აღებულ ვალდებულებას და არღვევს 7 მაისის ხელშეკრულების განსაზღვრულ პუნქტს.

16 დეკემბრის ხელშეკრულებით მიღწეული შეთანხმება, რომლის ძალითაც უნდა განთავისუფლებინათ და შემდეგომში დაეცათ შეუვალობა საქართველოში მყოფ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის თანამშრომელთა, თქვენ მიერ სავსებით გაბათილებულია ამ თანამშრომელთა ახალ-ახალი დატუსაღებით და ნოტებიც ამის შესახებ თქვენ მიერვე უპასუხოდ დატოვებულია.

საქართველოში მყოფი რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელი ერთობ უხერხულ მდგომარეობაშია და საშუალება არ აქვს შეასრულოს თავისი დიპლომატიური ფუნქციები, რადგან არ არის გარანტია მისი თანამშრომელთა ხელშეუხებლობისა.

ბათომში რუსეთის საკონსულო საშინელ პირობებში იმყოფება და თითქმის შეუძლებელი გარდა შემდეგში მისი არსებობა. საგანგებო რაზმის საქციელი სავსებით შლის ხსენებული საკონსულოს მოქმედებას, რომელნიც იქამდე მივიდნენ, რომ გარდა იმათი ვინც საკონსულოში შედიან, ან იმიდან გამოდიან, გარდა ამათი დატუსაღებულია თვით კონსულის მეუღლე.

არაფერი მაქვს საწინააღმდეგო იმ კანონიერ მოქმედებისა, როდესაც დატუსაღება ხდება დანაშაულის კონკრეტიულ პირობებში, მაგრამ მე გადაჭრით პროტესტს ვაცხადებ, როდესაც საგანგებო რაზმი ან მილიცია ასეთს დროს მარტო სიტყვიერ განცხადებით კმაყოფილდება.

ბათომის ცენტროკავშირის განყოფილების განადგურებასთან ერთად, განყოფილების პასუხისმგებელი პირების ცენტროკავშირის ,,ვასილი“ს კომანდი[illegible] და რუსეთის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კავშირის განყოფილების გამგეობის დატუსაღებით, საქართველოს მთავრობამ დიდი ზიანი მიაყენა სავაჭრო საქმეებსა და რ. ს. ფ. ს. რ. და საქართველოს დამოკიდებულების საქმეს.

საქართველოს მთავრობამ თავის მოვალეობად ჩასთვალა სასწრაფო ზომების მიღება-მომხდარ დატუსაღებათა გამოძიება და უკანონოდ დაჭერილ თანამშრომელთა განთავისუფლება, მაგრამ ეს მოვალეობა ჯერაც არ აუსრულებია და რეალურად არ განუხორციელებია.

ყველა ზემოდ ნათქვამის შემდეგ, მე უფლება მაქვს განვაცხადოთ, ბ-ნო მინისტრო, რომ აზერბაიჯანიდან ნავთის მიღება სავსებით დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის მიერ სხვა და სხვა დროს დადებულ პირობათა შესრულებაზე.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის შეკითხვას: რად არიან დაკავებულნი სამარშრუტო მატარებლები და ბრიგადები, მე რწმუნება მაქვს ოფიციალურად განვაცხადოთ, რომ არც მატარებლები და არც ბრიგადები დატყვევებულნი არ არიან. ისინი მხოლოდ შეჩერებულ არიან ნორმალურ მიმოსვლის აღდგენამდე, რაც დამოკიდებულია საქართველოს მთავრობაზე.

რაც შეეხება, აზერბაიჯანის მიერ საქართველოს ვაგონების გამოყენებას, ამის შესახებ სასწრაფოდ ეცნობა აზერბაიჯანს, რაზედაც უთუოდ არ დააგვიანებს ან შუამავლისა და ან უშუალო განმარტებას საქართველოში მყოფ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის პირით.

დასასრულ პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ რკინის გზის ტელეგრაფის აღდგენის შესახებ გაიცა განკარგულება.

მიიღეთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

საქართველოში მყოფი რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის
თან. დრ. აღმ. ქავთარაძე.

1920 წ. დეკემბრის 30. № 4076.

საქართველო და გერმანია.

საქართველოში დანიშნულმა გერმანიის მთავრობის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მ. რაუშერმა მთავრობის თავმჯდომარეს გადასცა რწმუნებულობის ბარათი და შემდეგი განუცხადა:

ბატონო თავმჯდომარე. მაქვს პატივი გადმოგცეთ, თქვენო აღმატებულებავ, გერმანიის სახელმწიფოს თავმჯდომარის წერილის დედანი, რომელიც ამოწმებს ჩემს საქართველოში ელჩად დანიშვნას. ამის გამო მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს გადმოგცეთ თქვენ გერმანიის სახელმწიფოს მესვეურის და გერმანიის ერის მხურვალე სურვილები ქართველ რაინდულ ერის კეთილდღეობის და ნაყოფიერ თანამშრომლობისათვის საქართველოს რესპუბლიკის აღორძინებისათანავე მასთან მეგობრულად დაკავშირებულ ერებთან მშვიდობიანობის და წინსვლის გზაზედ. მე მონდობილი მაქვს ვემსახურო ამ მაღალ მიზნის მიღწევას და ამისათვის მე არ დავზოგავ მთელ ჩემ საცდელს. მხოლოდ ხიარ ურთიერთ თანაგრძნობ ზედ და ნდობაზედ დამყარებულ მუშაობას შეუძლიან განამტკიცოს და დააკავშიროს ეკონომიური, სოციალური და კულტურული დამოკიდებულება საქართველოს და გერმანიის რესპუბლიკათა შორის და გახდეს მაგალითი იმის, რომ ურთიერთადმი დახმარება მომავალში უნდა შეიქმნეს ერთად ერთი ჭეშმარიტი საფუძვლად ყველა ცალკე ეროვნებათა და მთელ კაცობრიობის ოჯახის კეთილდღეობისათვის. მე ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენი აღმატებულება კეთილ ინებებს და აღმომიჩენს დახმარებას ჩემს კეთილშობილ დავალების განსახორციელებლად.

მთავრობის თავმჯდომარის პასუხი.

გერმანიის მთავრობის სრულუფლებიანი წარმომადგენლის განცხადებაზე მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხა: ბატონო ელჩო, მე დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვით და ნასიამოვნები თქვენი სიტყვებით. თქვენი ნალაპარაკევი ჩვენ სავსებით გვჯერა და იმედია ჩვენსასაც ასევე გულწრფელად ერწმუნებით. ქართველ ხალხს კარგი მეხსიერება აქვს- მან არ იცის გავლილი ამბების დავიწყება: მეგობრობას ის დიდად აფასებს და იმათთან, ვინც ასეთი მეგობრობა მას გაჭირვების დროს დაუმტკიცა, მუდამ ექნება კულტურული კავშირი და კეთილგანწყობილება. ეს მესამე წელია ჩვენ ვიბრძვით ჩვენი სახელმწიფოებრივ არსებობისათვის და ევროპასთან მჭიდრო კავშირის დაჭერისათვის. იმედი მაქვს თქვენ მონაწილეობას მიიღებთ ამ ჩვენ მუშაობაში და გაგვიადვილებთ დასავლეთის დემოკრატიასთან დაახლოვებას და გერმანიის რესპუბლიკის და პატარა საქართველოს რესპუბლიკის შორის კეთილგანწყობილების და ერთი მეორის გაგების განმტკიცებას. ამასთანავე მადლობას მოგახსენებთ იმ მოხალურ დახმარებისათვის, რომელიც თქვენმა მთავრობამ ჩვენ გაგვიწია ჩვენი სახელმწიფოს ოფიციალად ცნობით და საერთაშორისო ოჯახში სრულუფლებიანი წევრად აღიარებით. ჩვენ ჩვენი მხრით მზად ვართ თქვენ აქ მუშაობა გაგიადვილოთ და თქვენი აქ ყოფნა ჩვენ ორივესათვის ნაყოფიერი გავხადოთ.

(ს. დ. ს).

უცხოეთში

უცხოეთის ვაჭრობა-მრეწველობა.

სამოსლის გაიაფება.

პარიზის თერძები დიდ აღელვებას განიცდიან რადგან ტანსაცმლის ფასები ძალზე დაეცა. პარიზის პრესა აღნიშნავს რომ ფასების დაცემაში დიდი როლი ითამაშა ინგლისის კონკურენციამ. მიზეზათ ასახელებენ აგრეთვე მატყლსა და ბამბის გაიაფებას. ყველა დაინტერესებული მწარმოებელი ცდილობს საჩქაროთ გაასაღოს თავისი საქონელი, რის გამო ფირმები იძულებული არიან დღითი დღე დაუკლონ ფასებს.

ქვანახშირის გაიაფება.

შვეიცარიაში ძალიან იაფდება ქვანახშირი, მიზეზათ ასახელებენ ფრახტის დაცემას ამერიკიდან და ინგლისიდან, საიდანაც შვეიცარიას შეაქვს ქვანახშირი. არც შვეიცარიის ქვანახშირის კოოპერატიული საზოგადოება და არც ქვანახშირის ცენტრალი აღარ ყიდულობენ ქვანახშირს რადგან უკვე საკმარისად თვლიან მომარაგებულს და იმედოვნებენ რომ შემდეგ საქონელს უფრო იაფათაც იშოვიან.

არგენტინის მატყლი.

ბუენოს აირესიდან ცნობაა, რომ არგენტინას მზათა აქვს ეხლა საექსპორტოთ ასიათასი ტონა მატყლი, ანგარიშში არაა მიღებული მომავალი პარსვა.

შვეიცარიის მატყლეულობა.

შვეიცარიის მატყლის ნაწარმოების ექსპორტი თანდათან იზრდება: 1912 წ. შვეიცარიამ გაიტანა უცხოეთში ნაწარმოები 16 მილიონი ფრანკისა, 1913 წ. 17 მილიონისა და 1919 წ. 60 მილიონისა.

შრომის განაწილება.

ნოემბრის უკანასკნელ კვირაში საფრანგეთში უშოვეს სამუშაო 18,964 უმუშევართ. ხსენებულ კვირაში ფრონტიდან ცენტრში გადააგზავნეს 2,239 მუშა უცხოელი. ამას გარდა თვით ცენტრში სახელმწიფოსაგან მოთავსებული იყო 328 მუშა-უცხოელი. გარდა ამისა საზოგადო დაწესებულებებმა მოაწყვეს სამუშაოზე კიდევ 210 მუშა უცხოელი სულ მოაწყვეს 2,777 უცხოელი მუშა. ესენი არიან უმეტესათ იტალიელები, ბელგიელები და ნაწილი ესპანიელები, პორტუგალიელები, პოლონელები და სხ. განთავისუფლებულ მაზრებში (ელზასი ლორენი) მოაწყვეს 433 მუშა.

რვა საათის სამუშაო დღე შვეიცარიაში.

მუშათა ფედერატიულმა კავშირმა შვეიცარიაში დახარჯა 150,000 ფრანკი პროპაგანდისათვის რვა საათის სამუშაო დღის სასარგებლოდ, რომლის შესახებ ხდება რეფერენდუმი.

კომერციული შეთანხმება.

დაიდვა შეთანხმება პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიას შორის, რომლის ძალით პოლონეთი აძლევს 7,000 ტონა ნავთსა ჩეხოსლოვაკიას, მის სანაცვლოდ უკანასკნელი აძლევს პირველს 35,000 ტონა ქვანახშირსა და 15,000 ტონა კოქსს.

დეპეშები

გერმანული ცნობები.

გერმანია და მოკავშირენი

თანახმად ლონდონიდან მოსული ცნობისა ბრიტანეთის მთავრობას არ სურს დაუთმოს საფრანგეთს და მოკავშირეთა პრემიერების პარიზის კონფერენცია მეორე საზავო კონფერენციათ გადააქციოს. ინგლისის მთავრობა მზათ არის განიხილოს საკითხი გერმანიის განიარაღების შესახებ, მაგრამ არ სურს განიხილოს საკითხი ზარალის ანაზღაურების შესახებ, მანამ სანამ არ იქნება დასრულებული ბრიუსელის კონფერენცია. თანახმად ,,მატენის“ ცნობისა პარიზის კონფერენცია შეიმუშავებს მხოლოდ ინსტრუქციებს დელეგატებისათვის, რომლებიც უნდა დაესწრონ შემდეგ ბრიუსელის კონფერენციას.

ცენტრალური და აღმ. ევროპა.

გერმანიის გაზეთები აღნიშნავენ საშიშროებას, რომელიც მოელის მას პარიზში. ,,ფრანკფურტერ ცაიტუნგი“ სწერს: მთელ ქვეყანას სურს ვაჭრობის აღდგენა ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში და გერმანიას, რომელსაც სურს იშრომოს შეუძლიან გააჩაღოს წარმოება და ვაჭრობა თუ კი მას მშვიდობიან მდგომარეობაში ჩააყენებენ. მაგრამ ერი, რომელიც უცხოელთა ვალდებულებები არის დატვირთული, კარგავს მთელ თავის ძალას.

ფიუმეს პრეზიდენტი.

ფიუმეს ახალი დროებითი მთავრობის პრეზიდენტათ არჩეულმა გროსსიმ განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი იქნება კავშირი ფიუმეს თავისუფალ შტატისა იტალიასთანო.

ბავშვების სიკვდილი

თანახმად უკანასკნელ საქმიო სტატისტიკისა ბერლინში ძუძუ მწოვართა ბავშვების სიკვდილის შემთხვევები სამ ჯერ გაიზარდა.

ფრანგული ცნობები.

მიწის ძვრა

მენდოსიდან იტყობინებიან: არგენტინაში ახალი მიწის ძვრა მოხდა. დაჭრილთა და მკვდართა რიცხვი 600 კაცს უდრის.

(დასაწყისი არ არის მიღებული) არჩევნების შედეგი შემდეგია: ადგილები ამ რიგად განაწილდა—რესპუბლიკანტრებმა მიიღეს 15 ადგილი, მემარცხენე რესპუბლიკანელებმა—19, რადიკალებმა და რადიკალ-სოციალისტებმა 41, სოციალისტებმა 10, გუშინწინდელ არჩევნებში 98 ადგილში მიიღეს რესპუბლიკანელებმა (კონსერვატორებმა) (გამოტოვებულია).

მემარცხენე რესპუბლიკელებმა—32, რადიკალებმა და რადიკალ სოციალისტებმა—56, სოციალისტებმა—2, დამოუკიდებლებმა—1.

კომუნისტების წინააღმდეგ

1921 წ. ფედერალურმა საბჭომ ბერნში დაადგინა გააძევოს ორი იტალიელი ლოზანიდან, კომუნისტურ პროპაგანდისათვის.

პოლონეთი და საბჭოთა რუსეთი.

წინააღმდეგ გავრცელებული ხმებისა, ვარშავაში, რიგის მოლაპარაკების შედეგებს ოპტიმისტურად უყურებენ და ფიქრობენ, რომ პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის ზავი იანვრის მეორე ნახევარში იქნება დადებული.

ბრიუსელის კონფერენცია.

ნაუენი. 6 იან. გერმანიის დელეგატი ბერგმანი, და ბელგიის დელეგატი დელაკრუა, შეთანხმდენ განაახლონ ბრიუსელის კონფერენცია, მიმდინარე თვის 17 ს. მანამდე ქვე-კომისიები წინასწარ მუშაობას დაასრულებენ.

უნგრეთის კომუნისტები

ბრიუსელიდან იუწყებიან: იუსტიციის მინისტრმა ვანდერველდემ, პარიზიდან დაბრუნებისას, მიიღო რწმუნება, რომ უნგრეთის კომუნისტები არ იქნებიან სიკვდილით დასჯილნი. მათ გადასცვლიან უნგრეთის ტყვეებზე, რომელიც რუსეთში იმყოფებიან. ფიგარო სიტყვით ლეიგის კაბინეტის გადადგომის შესახებ გავრცელებულ ხმებს, არავითარი საფუძველი არ აქვს, მით უმეტეს რომ იგი (ლეიგი) ამ ჟამათ ემზადება მოკავშირეთა იმ კონფერენციის მოსაწყობათ, რომელიც უნდა შესდგეს მისი ინიციატივით პარიზში იანვრის 19 ს.

საფრანგეთში.

(რამოდენიმე სიტყვა დამახინჯებულია) მარშალმა ფოშმა სთქვა: 1917 წელში, როცა ჰორიზონტი შავი დრუბლით იყო მოცული, ამერიკამ გადასწყვიტა ომში ჩარევა. მან უყოყმანოდ გადასწყვიტა თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვა. 1918 წლის მარტში, როდესაც საშინელი მდგომარეობა იყო გენ. პერშინგმა უთხრა მას, რომ ამერიკელი ჯარის კაცები მის განკარგულებაში არიან და მზად არიან ომში მონაწილეობის მისაღებათ. ეს წინადადება გაიმეორა პრეზიდენტმა ვილსონმა, რომელმაც უთხრა მას, რომ მას არ სურს დაუდგას საზღვარი დახმარების აღმოჩენაში. ამერიკა და საფრანგეთი ყოველთვის ერთად იდგენ და იკავდენ ფრონტს და იმავე იდეალს, რამაც შექმნა მათი კავშირი ომის დროს და რამაც მისცა ძალა ამ კავშირს შემდეგაც თვისაც.

ლონდ. 11—1. ფიუმეში კაროს 270 ლეგიონერმა და მათ შორის 30 ოფიცერმა დასტოვა ფიუმე. დღემდის ფიუმე დასტოვა 2000 ლეგიონერმა და ყველა სამხედრო გემმა. ადასტურებენ ცნობას იმის შესახებ, რომ დ. ანუნციომ ფიუმე დასტოვა ლეგიონერთა წასვლის შემდეგ.

ავსტრიის ეკონომიური კომისია.

,,ტანი'' სწერს ავსტრიის მინისტრთა საბჭომ განიხილა ეკონომიური კომისიის სტატუტის პროექტი. ეკონომიური კომისია დაემორჩილება უშუალოდ ცენტრალურ საპარლამენტო კომისიას. (დამახინჯებულია)... (დასაწყისი არ მიგვიღია). მთელი კრების ტაში ცემა გამოიწვია ბენტინგმა, რომელიც აქებდა და ადიდებდა პრუსიის მილიტარიზმს და რომელმაც გამოსთქვა სურვილი, რომ გერმანიაში განმტკიცდეს პრუსიის კულტურა. ნუ თუ ეს არ არის იმის დამამტკიცებელი, რომ მილიტარისტული გერმანია კვლავ გამოუსწორებელი და ბრმა რჩება.

რადიო სადგური.

უძლიერესი რადიო სადგური მთელ დედამიწის ზურგზე. ჟურნალ ,,დედება'' აღნიშნავს სენ-ანიზის ახალ რადიო სადგურის დიდ მნიშვნელობას და ზოგიერთი ტეხნიკური ცნობები მოჰყავს. ძრავების და სხვა მანქანების საერთო ძალა იქნება 100.000 კილოვატი; შენობები დაიკავებს 8.000 კვ. მეტრის სივრცეს. ყოველ დღიურათ მიიღებენ და გადასცემენ ორი მილიონ სიტყვაზე მეტს. ლუი დიშანმა, რომელმაც ამ სადგურის საფუძვლის პირველი ჩას დო, განაცხადა: საფრანგეთის მთავრობას მიზნათ აქვს მოაწყოს პირდაპირი დამოკიდებულება რადიოთი საფრანგეთისა და სხვა ქვეყნებს შორის. უკვე დაწესებულია რეგულიარული რადიო დამოკიდებულება კერძო პირთათვის ინგლისთან, შემდეგი ქვეყნები იქნება ესპანეთი და ჰოლანდია, აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნება დამოკიდებულება ამერიკასთან, ინდო-ჩინეთთან, იაპონიასთან, აფრიკასთან ავსტრალიასთან.

ინგლისის ნოტა რუსეთის მიმართ.

ლონდონი 7 1. ლორდ კერზონმა ჩიჩერინს შემდეგი ნოტით მიმართა: „საბჭოთა მთავრობა უკანასკნელ თავის ნოტაში იმეორებს, რომ ერთად ერთი პასუხის მგებელი მოლაპარაკების გაჭიანურებაში არის ბრიტანეთის მთავრობაო. ეს მტკიცება იმდენათ არ შეეფერება სინამდვილეს, რომ ბრიტანეთის მთავრობა. საჭიროთ სთვლის უპასუხოს ამ ბრალდებაზე. იმ დროიდან, როცა 1920 წლის 16 იანვარს მოხდარმა უმაღლეს საბჭოს სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება დაეწყო ვაჭრობა რუსეთთან, ბრიტანეთის მთავრობამ, მიუხედავათ დაბრკოლებებისა, ზოგიერთ შედეგებს მაინც მიაღწია- ყოველგვარი საფუძველი იყო რომ გვეფიქრა მოლაპარაკება სასურველათ დამთავრდებოდა. მაგრამ საბჭოთა მთავრობამ თავის მთავარ წარმომადგენლათ დანიშნა ლიტვინოვი, რომელიც ინგლისისათვის მიუღებელ იყო. ბრიტანეთის მთავრობამ გაგზავნა საგანგებო დელეგაცია კოპენჰაგენში, სადაც უნდა შემუშავებულიყო ლიტვინოვთან ერთად შეთანხმების ძირითადი მუხლები. ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება კრასინთან, რომლის შედეგი იყო ბრიტანეთის მთავრობის მიერ 20 ივნისს გაგზავნილი 2 ნოტა, რომლებშიაც აღნიშნული იყო შეთანხმების პირობები. საბჭოთა მთავრობას რომ მიეღო ეს პირობები, 7 ივლისს მოლაპარაკება სწრაფათ და კარგათ დასრულდებოდა, მაგრამ პოლონეთის ეპიზოდმა შეუძლებლათ გახადა საზავო მოლაპარაკების განახლება. როგორც კი საბჭოთა მთავრობა დათანხმდა პოლონეთთან დროებითი ზავის შეკვრას, ბრიტანეთის მთავრობამ მიაწოდა რუსეთის დელეგაციას საჭირო გემები, რომ იგი დაბრუნებულიყო ლონდონში. ვინაიდან ინგლისის ნათელი სურვილი იყო შეეკრა რუსეთთან მეგობრული შეთანხმება, კიდევ უფრო ფართო მაშტაბით, ამიტომ ბრიტანეთის მთავრობამ არა თუ კამენევი მიიღო, არამედ მიიღო წინადადებაც, რომელიც როგორც ფიქრობენ გაუკეთა მან სხვა სახელმწიფოებს, განეხილა საზავო კონფერენციის პრელიმინალური პირობები, მაგრამ კამენევი უფრო ინგლისის შინაურ პოლიტიკით დაინტერესდა ვიდრე რუსეთ ინგლისის დამოკიდებულებით და იმ საკითხით, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისადმი წარდგენილ საზავო პირობებში, ინგლისი პრემიერი შეცდომაში შეიყვანა. კამენევის ასეთმა მოქმედებამ გამოიწვია მისი უკან გაწვევა და მოლაპარაკების შეწყვეტა. დიდმა ხანგრძლივი შეწყვეტა მოლაპარაკებისა, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო იმ მოქცევით, რომელსაც იჩენდა საბჭოთა მთავრობა ინგლისის იმ ქვეშევრდომთა მიმართ, რომლებიც იმყოფებოდენ მის პირდაპირ და არა პირდაპირ ყურადღების ქვეშ და ეს მაშინ როცა იხილავდენ საკითხს ტყვეების გაცვლა გამოცვლის შესახებ. შემდეგ განახლდა მოლაპარაკება კრასინთან.

ის ფაქტი, რომ შეთანხმება ამდენხანს არ არის ხელ მოწერილი, უმთავრესად არის შედეგი იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა გაურბის შეთანხმების იმ პირობებს რომელიც თვითვე მიიღო ივლისის 7-ს. საკითხი 30 ივნისს და 7 ივლის მიღებულ შეთანხმების მუხლების განმარტების შესახებ, იყო საგანი არა ერთხელ გამართულ მსჯელობისა. კრასინს კარგათ მოეხსენება მიზეზები, რომლებიც აიძულებენ ბრიტანეთის მთავრობას მოითხოვოს დაჟინებით შეთანხმების წინასწარ პროექტში იმ გეოგრაფიულ რაიონების შესახებ საგანგებო შენიშვნების შეტანას, რომელთა შესახებ არა ერთხელ მიუცია საბჭოთა მთავრობას პირობა ხელი აელო პროპაგანდაზე და ბრიტანეთის იმპერიისა და განსაკუთრებით ბრიტანეთის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ სამტრო მოქმედებაზე. საერთო ხასიათის რწმუნება უდეტალიზაციოთ არ წარმოადგენს დიდ ღირებულებას და შეუძლიან მხოლოდ ხანგრძლივი და უმიზეზო კამათი გამოიწვიოს იმ რაიონების შესახებ, რომელთა შესახებ შემდეგ წარმოდგენილი იქნება პრეტენზიები, როგორც ასეთ რაიონებზე, რომლებიც თავის გავლენის სფეროში შედიან. ბრიტანეთის მთავრობის აზრით საჭიროა ასეთი კამათის წარმოშობა წინასწარ იქნეს აცილებული. ეს უკეთესი იქნება, ვიდრე შემდეგ პოლიტიკურ კონფერენციების მოწვევა. საჭიროა აუხვიოთ გვერდი მიზეზებს, რომლებიც ხანგრძლივ კამათსა და საკითხის გადადებას გამოიწვევენ. საბჭოთა მთავრობას, რომ სდომოდა თავის დაპირების კეთილ სინდისიერათ შესრულება, არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობებოდა მას წინ, ორივე მხარის ინტერესებისათვის გამოერკვიათ ის რაიონები, რომლებზედაც უნდა გავრცელებულიყო შეთანხმება. თავის მხრით ბრიტანეთის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა განეხილათ იმ გეოგრაფიულ რაიონების მდგომარეობაც, სადაც რუსეთის საბჭოთა მთავრობას აქვს თავისი საგანგებო ინტერესები და ამას ბრიტანეთის მთავრობა ჩასთვლიდა სათანადო ვალდებულებათა საფუძვლად, რომელსაც იგი მიიღებოდა თავის თავზე. დიდი ბრიტანეთის მთავრობა ამ შემთხვევაში იმედოვნებს, რომ უნიადაგო კამათი გაგრძელების მაგივრათ საბჭოთა მთავრობა აღჭურავს კრასინს რწმუნებით მოაწეროს ხელი სავაჭრო ხელშეკრულებას და, რომ ასეთი ხელშეკრულების სისრულეში მოყვანის დროს დაცული იქნება არა მარტო გულწრფელობა ორივე მხარისა, არამედ რომელიც იქნება პირველი ნაბიჯი გადადგმული აღმოსავლეთ ევროპის მატერიალურ აყვავებისაკენ მიმართული.

ახალი ამბები

მთავრობაში

1920 წლ. დეკემბრის 30-ს სხდომა. ფინანსთა მინისტრის დირექტის პროექტის მოსმენის შემდეგ სახელმწიფო დაწესებულებებში სამეურნეო საკანცელარიო ხარჯების დასაფარავად სათანადო თანხის გადიდების შესახებ, მთავრობამ დაადგინა გადასდოს სათანადო თანხა იანვრის 1 დან საბიუჯეტო წლის დამლევამდის. ფინანსთა მინისტრს მიენდო ამ დეკრეტის პროექტის დამფუძნებელ კრებაში შეტანა დასამტკიცებლად.

— მთავრობამ მოისმინა რა იუსტიციის მინისტრის მოხსენება ძმ. გორელაშვილებისათვის ჩამორთმეულ ქონებისა და სახლის შესაკეთებლად საჭირო თანხის გადადების შესახებ, დაადგინა ნება დართოს იუსტიციის მინისტრს, გადაიხადოს იგი 1920 21 წ. ხარჯთ-აღრიცხვის ნაშთებიდან.

— იანვრის 4-ის სხდომაზე მთავრობამ ფინანსთა მინისტრის მოხსენების მოსმენის შემდეგ, რომელიც მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახ ხარჯთ აღრიცხვის გადიდებას შეეხებოდა, დაადგინა ზემოხსენებული მოხსენება მიიღოს და დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას გადასცეს.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა იანვრის 4-ს მთავრობის სხდომაზე გააკეთა მოხსენება, რომელიც შეეხებოდა ბათომის თვითმართველობის მიერ 100 მილიონ სანიტარულ გადასახადის განაწილებას.

სხვა და სხვა.

— რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი. ,,ქაშნიკი მამუკა ბარათაშვილის პოეტიკა'' გიორგი ლეონიძისა. გამოცემა საქ. ცენტრ. კოოპერ. კავშირისა. წიგნი ლამაზად არის გამოცემული კარგ ქაღალდზე შეიცავს 56 გვერდს და ღირს 200 მ.

— მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობამ დაადგინა მისცეს კატეგორიული წინადადება ყველა საფაბრიკო კომიტეტს არ მიიღოს ჯილდო შრომის ხელფასის 100 პროც. მანამ, სანამ ამ ჯილდოების რაოდენობა არ იქნება დამტკიცებული სატარიფო პალატის მიერ.

საზოგადო მეურნეობაში.

ჩვენს საზოგადო ორგანიზაციებში საზოგადოებრივი მეურნეობის გაფართოება, სადაც არსებობს, შექმნა ახალი დარგისა, სადაც ასეთი ჯერ არ შექმნილა—ასეთი საერთო გეზი თანამედროვე ეკონომიური აღმშენებლობაში. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უფრო მეტ შემთხვევებში კეთილი განზრახვანი ქაღალდზე რჩებიან და სინამდვილეში კი ადგილი აქვს უსისტემობას არა მეურნულ საქმის წარმოებას მთელი თვისი შედეგებით საზოგადო საკუთრების უნაყოფო ფლანგვით და გაოხრებით.

ერთ ამგვარ დარგს საზოგადო მეურნეობისას მსურს მივაქციო მკითხველ საზოგადოების ყურადღება. ეს არის ჩვენი ერთი დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაციის სამეურნეო ნაწილი.

ამ ორგანიზაციას ქვია სახელი ,,ერობათა კავშირი'' რომელსაც დაკისრებული ჰქონდა სხვათა შორის თივის დამზადება რესპუბლიკის და ჯარის საჭიროებისათვის, მაგრამ ყოველივე მოლოდინი ამ ჟამად გაცრუებულია და რესპუბლიკაში თივის კრიზისია, საჭიროა დაიარონ თივის დასამზადებელი პუნქტები, რომ დარწმუნდეთ იმაში თუ რამდენათ შესძლო ხსენებულ ორგანიზაციამ ამ საქმის დაძლევა, რისი მიზეზიც არის როგორც საქმის ულოდნარობა ისე დაუშვებელი და ბოროტი. უმეცრობა და ,,ჩინოვნიკური'' საქმის წარმოება. და აი ასეთი საქმის წარმოების შედეგი არის ის, რომ ამ ჟამად რესპუბლიკაში თივის ღირებულებამ საშინლად აიწია. ამ ცოტა ხანში შემთხვევა მომეცა ჩემი თვალით მენახა აჟარებული თივა დამპალი ბედიაურის რაიონში. მიზეზი ამისა, როგორც გავიგე გახლავთ ის, რომ თივა დროზე არ იქმნა ძნებათ დადგმული, წვიმებმა მოუსწრო და გაფუჭდა.

რას უნდა მიეწეროს ეს?

უთავობას თუ არა საქმის მცოდნეთა დგომას საქმის სათავეში.

ასეთივე ანალოგიური შემთხვევას ჰქონდა ადგილი ეროკავშირის საგარეჯოს პუნქტზე, სადაც რამოდენიმე ათასი ფუთი დამპალი თივა იყო ზოგი მიწაზე მოფანტული, ზოგიც ჯერაც ბულულებათ (въ копнахъ) დატოვებული. გაიყიდა ეს თივა 40 მან. ფუთი, მაშინ, როდესაც იგივე თივა, მოვლილი რომ ყოფილიყო, გაიყიდებოდა გაცილებით უფრო ძვირათ. არა ნაკლებ სამწუხარო მოვლენა გვხვდება თვალწინ, როდესაც ეცნობით ყარაიაზის თივის დასამზადებელ პუნქტს. ადგილობრივი მკვიდრი, იქაური ძველი თივის დამზადებლების სიტყვით ყარაიაზში მზადდებოდა ყოველ წლიურად არანაკლებ 500.000 ფუთი თივისა და გარდა ამისა კერძოთაც გლეხები ამოდენსავე ყიდდენ. წინათ ეს წარმოება იყო რუსეთის მიწადმოქმედების სამინისტროს მთავარ რწმუნებულის ხელში და დღეს, მიუხედავათ იმისა, რომ დემოკრატიული ორგანიზაცია ჩაუდგა სათავეში, საქმე გაცილებით უფრო უარეს მდგომარეობაშია, ვინემ ძველი ბიუროკრატიის რწმუნებულების ხელში იყო. თივა დროზე ძნებში არ დაუყენებიათ და რამოდენიმე ვერსზე გაივლით და თქვენ ხედავთ დამპალი თივების პატარა ბროვებს, რომელიც წვიმებს სრულიად დაუფუჭებიათ. უკანასკნელთა რაოდენობა იქნება რამოდენიმე ათი ათასეული ფუთი, ამ პუნქტის ცხენების დანახვა თქვენში სასოწარკვეთილებას იწვევს: გაძვალტყავებული, ქეციანი მოუვლელობის და შიმშილის გამო. ქერი ცხენებს თვალითაც არ უნახავთ. ნუ თუ ეს დასაშვებია ცოტათ-თუ ბევრათ რიგიან მეურნეობაში და ყოველივე ამას აქვს ადგილი დღეს, როდესაც ვიმყოფებით გარეშე საფრთხის წინაშე და ბოროტ მოქმედებათ უნდა ჩაითვალოს, რომ ჯარის და გვარდიის ცხენებს თივა დააკლდეს. ამ ს კი ადგილი აქვს მუდამ. ჯარის და გვარდიის წარმომადგენლებისაგან არა ერთხელ გვსმენია ჩივილი შესახებ იმისა, რომ ცხენებს თივა არა აქვთ და თუ გვიგზავნიან თივას, იგი უმეტეს შემთხვევაში დაბალი ხარისხისაა. გვარდია კიდეც ითხოვდა მისთვის გადაეცათ თივის დამზადების საქმე სავსებით. აღმაშფოთებელ და უნუგეშო მდგომარეობაშია თვით თივის დასამზადებელი ინვენტარი. ერობათა კავშირის ინვენტარის 80 პრ. პრესები, სათიბავები უვარგისი და დამტვრეულია და ამ ჟამადაც გაუკეთებელია, მაშინ როდესაც თვით ერო-კავშირს თავისი საკუთარი შემკეთებელი სახელოსნო ჰქონია. კერძო ხალხს კი პრესები წაართვეს... ამ თივის საქმეს, მეთაურობენ ბ-ნი ი. სტურუა და მიხეილ ქარცივაძე. ეს ქარცივაძე რამოდენიმე თვის წინეთ ყოფილა დანიშნული საგანგებო რწმუნებულად, მთელი თივის დამზადების საქმეს ორგანიზატორათ, ასე ვსთქვათ, ერთგვარ დიქტატორათ თივის საქმეში. არავითარი სამისო მომზადება მას არ აღმოაჩნდა, და ამის შედეგებიც ასეთი დანიშვნისა გვიდგას თვალწინ: მისი დიქტატურა ჯერ ჯერობით გამოიხატა მხოლოდ კაბინეტში ჯდომით და საქმე მიშვებულია თავის ნებაზე. სხვა დროს და სხვა პირობებში ასეთ პირებს დაუდევრობისათვის სამართალში აძლევდენ.

სხვა დარგებზე ამ საზოგადო დაწესებულების მეურნეობიდან მოგახსენებთ შემდეგ ნომერში.

მეოგლუგრე

ქართულ თეატრის გარშემო.

ამ ბოლო დროს ქართული თეატრის გარშემო ერთი საკვირველი ამბავი მოხდა. ვამბობ ,,საკვირველი'', რადგან მართლაც განსაცვიფრებელია ის, რასაც ახლა მე მოგახსენებთ.

ქართულ დრამიდან გავიდა—ნინო ჩხეიძე. ერთმა უნიჭიერესმა და ჯერ ისევ ძალ ღონით აღსავსე მსახიობმა მიატოვა თბილისის სახელმწიფო თეატრის სცენა და მიაშურა პროვინციას.

მიზეზი?

ქართულ თეატრის მესვეურთ რომ შეეკითხოთ, მიზეზს ვერ გაიგებთ. თეატრთან ახლო უნდა იდგეთ, უნდა იცოდეთ მსახიობის ცხოვრება, რომ მიზეზი ისევ თქვენ ახსნათ და გამოარკვიოთ.

წელს, როგორც იყო, ქართული დრამა მოეწყო, ქართული თეატრი ცოტად თუ ბევრად სამედო გზას დაადგა. მსახიობებმა გულმოდგინედ დაიწყეს მუშაობა. მთავრობამაც დიდი დახმარება გაუწია და სეზონი, როგორც იტყვიან, ,,გაიხადა''.

დასში, როგორც ყოველთვის, ერიცხა ჩვენი სცენის დიდი მსახიობი ნინო ჩხეიძე. ვინც ამ მსახიობ ქალს იცნობს დაახლოვებით, დამეთანხმება, თუ რა სასოწარკვეთილებაში იყო ის და როგორ მდგომარეობაში უხდებოდა მუშაობა.

თითქოს განგებ რეპერტუარში არ შეიტანეს ის პიესები, რომელშიც ნინო ჩხეიძე შეუდარებლად თამაშობს და რომლის დადგმაც გამართლებული იქნებოდა ისევ ნინო ჩხეიძის თამაშით. ჩვენ ვიცით, რომ მართლაც ის პიესები რომელშიაც ნინო ჩხეიძე გამოდის ესტეტიურ თვალსაზრისით დიდ ღირებულებას არას წარმოადგენენ, მაგრამ სამაგიეროდ თვით ნინო ჩხეიძე თავის რეპერტუარით ქართულ თეატრისთვის კი დიდ ღირებულებას შეადგენს.

მოსკოვის მცირე თეატრს ამშვენებს—მ. ნ. ერმოლოვა.

ამ მსახიობ ქალმა შექმნა თავისი ტრადიცია, თეატრალური კულტურა და თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში ჩამოაყალიბა თავისი რეპერტუარიც.

ერთ წუთსაც არავის ფიქრად არ მოსვლია, რომ ერმოლოვას რეპერტუარი გამოეტოვებინათ და მსახიობი ქალი სატახტო ქალაქიდან პროვინციაში გაეგზავნათ.

ეს არც მოხდებოდა.

მთელ რუსეთის პრესსაში განგაში ასტყდებოდა.

ჩვენი პრესსა კი სდუმს, სძინავს და მის გარშემო რა ამბავი ხდება, ეს მას არ აინტერესებს, რადგან ხელოვნებისთვის დღეს არავის არა სცალია!

ჩვენც გვგონია, რომ ნინო ჩხეიძე ჩვენი სცენისთვის ერმოლოვა უნდა იყოს.

შაბლონურია ოსტროვსკის ,,უდანაშაულოდ დასჯილნი'', მაგრამ მოსკოვის თეატრმა რეპერტუარიდან იგი არ მოხსნა იმიტომ, რომ ერმოლოვის კრუჩინინა შეუდარებელია და დიდი ხელოვნებით განსახიერებული.

შაბლონურია დიუმას ,,კამელებიანი ქალი'', ზუდერმანის ,,მაგდა'', მაგრამ ნინო ჩხეიძე კი ამ პიესებში შეუდარებელია და ჩვენც საქმე დიდ ხელოვნებასთან გვაქვს.

ჩვენში სარეპერტუარო კომისიამ კი არც აცივა, არც აცხელა და ნინო ჩხეიძის რეპერტუარი მთლად გამოსტოვა.

ნინო ჩხეიძე ურეპერტუაროთ. ეს ხომ წარმოუდგენელია. მსახიობ ქალს წაართვეს თავისი სფერო.

მაგრამ რა მოსაზრებით, ან რა უფლებით, ეს ჰკითხოს იმ ხალხს, რომელმაც სარეპერტუარო კომისიაში მოიკალათა და თავიანთი ,,ესტეტიური მსჯავრი'' დასდო.

მსახიობი შევიდა დასში, მაგრამ მას მაკრატლით მოსჭრეს ფრთები. იმანაც იგრძნო, რომ ზედმეტი იყო „განახლებულ'', ,,ახალ თეატრისთვის'' და მიატოვა ქართულ თეატრის რამპა.

აღარას ვიტყვით იმ ნივთიერ გაჭირვებაზე, რომელსაც განიცდიდა ეს მსახიობი ქალი. ნინო ჩხეიძეს იმდენი გმირობა ჰქონდა, რომ გადაეტანა ნივთიერი ხელმოკლეობა, მაგრამ სულიერი ტანჯვით კი მოთმინების ძაფები დაუწყდა და ქართულ თეატრს, ქართველ საზოგადოებას მოშორდა.

და განა მარტო ნინო ჩხეიძეა ქართულ სცენას მოშორებული?

რაღა დააშავეს ვასო აბაშიძემ, ელ. ჩერქეზიშვილმა, ნ. ჯავახიშვილმა და ა. კარგარეთელის ქალმა. ქართულ თეატრის ეს პირმშო შვილები, უკანონო შვილებსავით დადიან ქართულ თეატრის გარეშე (თუმცა აბაშიძე და ჩერქეზიშვილი დასში იმყოფებიან, მაგრამ ვაი ამ ყოფნას!)

აი, ქართული თეატრი როგორ მიდის განახლებისკენ და როგორ იკრეფს ძალებს თავის გარშემო.

არც საოპერო თეატრშია ყველაფერი თავის წესზე.

აქაც ბევრი რამ ახირებული ხდება.

მაგალითისათვის ერთი ფაქტი უნდა მოვიყვანოთ:

კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა ერთი უძვირფასესი ნაწარმოები მიუძღვნა ქართველ ერს, ოპერა ,,თქმულება შოთა რუსთაველზე''. ამ ოპერამ საზოგადოების საერთო ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა და მოდი ნუ გაგიკვირდებათ, როდესაც ეს ოპერა ქართულ სცენიდან გაქრა და აღარ იდგმება.

ყოველივე ეს მეტად სამწუხაროა ჩვენ მეტად საყურადღებოდ ვთვლით იმ გარემოებასაც, რომ ორივე სახელმწიფო თეატრები ხშირად პიესების განმეორების დროს დაუშვებელ ვანდალიზმს აკეთებენ. თითქოს მარტო პირველ წარმოდგენაზეა საჭირო სიხალისე, სიკვირცხლე, მსახიობთა ანსამბლიც დადგმაც და სხვა—ხოლო განმეორებულ წარმოდგენებზე ყოველივე ამას მოკლებული უნდა იყოს! განათლებულ უცხო ქვეყნის თეატრებში კი რამდენჯერაც მეტჯერ იდგმება პიესა, მით უფრო პიესის შესრულება მაღლდება და მხატვრულ ხაზებში ყალიბდება. ჩვენში, როგორც სხვა ყოველივე, ყველაფერი უკუღმა ხდება.

ხელოვნება ყველასათვის ძვირფასი არის და მის ფეხქვეშ გათელვას არავის გაპატიებთ.

მეტი პატივისცემა და ყურადღება ხელოვნებას!

ვახტანგ გარიკაი.

შევარდენის საზოგადოებაში.

ოთხშაბათს, იანვრის 5 ტფილისში შესდგა საქართველოს შევარდენთა კავშირის დამფუძნებელი კრება, რომელზედაც დაარსდა ყველა ქართულ შევარდნულ ტანთსავარჯიშო საზოგადოების კავშირი (ე. ი. ტფილისის 8 საზოგადოება, თითო საზოგადოება: ქუთაისის, ფოთის, ბათომის, თელავისა და ახალსენაკის). კავშირის საქმეები გადასწყდება კავშირის მორიგ წლიურ კრებებზე—ყრილობებზე და აგრეთვე საჭიროებისდა გვარად საგანგებო კრებებზე. კავშირს მუდმივ დაწესებულებას კი მისი გამგეობა წარმოადგენს, რომელშიაც სულ 18 წევრი შედის. დამფუძნებელ კრებაზე ამ გამგეობაში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი:

მწარე ფიქრები

9

ძალმომრეობა.

დამფუძნებელ კრების წევრის კ. ნინიძის ისტორიამ სამართლიანად ააშფოთა როგორც პრესსა, ისე საზოგადოება და თვით დამფუძნებელი კრებაც.

პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა, რომლის მოსაპოვებლათ სხვა ოპოზიციონურ პარტიებთან ერთად ასე თავგამეტებით ებრძოდა ძველს მთავრობას დღევანდელი ჩვენი მმართველი პარტია, ასე ტლანქად და ცინიკურად არ გათელილა ძველად არც ერთი ჟანდარმისა და არც ერთი გოროდოვოის მიერ.

საზოგადოდ ყოველგვარი თავისუფლება, რაც ჩვენთვის რევოლიუციას უნდა მოეცა, როგორც არის თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებებისა, კავშირებისა, ხელშეუხებლობა ბინისა და პიროვნებისა, ჩვენ მხოლოდ სიტყვიერად მოგვეცა, მოგვეცა მხოლოდ სხვის დასანახავად, საქმით კი ჩვენს ენას ისევ კლიტე ადევს და ჩვენი სული ისევ შებორკილია და შეხუთული, როგორც ეს იყო რუსეთის ხელმწიფისა და მისი მინისტრების მმართველობის დროს.

ეს კიდევ ცოტაა, ჩვენი სულის შეხუთვა დღეს მით უფრო საგრძნობელია, რომ წინად ყველა ჩვენთაგანმა კარგად იცოდა, რის თქმა შეგვეძლო და რისა არა, რა შეგვეძლო დაგვეწერა და რა არა. დღეს კი გვეუბნებიან: თქვენ ხართ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი მოქალაქე და ამ აზრით გათამამებულს მოქალაქეს პირიდან მეტი სიტყვა თუ დასცდა, ან თუ მოისურვა და თავისი აზრი ბეჭდვით სხვას გაუზიარა, მაშინვე გვცემიან და პირში ბურთით ჩაჩრას არ გვაკმარებენ, სასტიკად დაგვსჯიან.

კ. თუმანიშვილი ციხეში ჩააგდეს მხოლოდ იმისათვის რომ არ მოეწონათ ის სიტყვები, რომელიც მან მთავრობათავმჯდომარისა და სხვათა წრეში წარმოსთქვა.

გაზეთ ,,საქართველოს'', როგორც კი გაჰბედავს იგი და მმართველი წრისთვის არა სასიამოვნო წერილს დაჰბეჭდავს, იმ დღესვე ჰხურავენ, დიდის რიხით ემუქრებიან და წინასწარ ცენზურით აწიწებენ.

წინად ყველა ჩვენთაგანმა კარგად იცოდა, რომ თუ საჟანდარმო სამმართველოსთან საერთო არა გქონდა რა და ამასთან არ იყავი ქურდი და ყაჩაღი, შენს ბინასა და პიროვნებას არავინ შეეხებოდა, დღეს კი ჩვენს ბინებში სცოდავად ვიკუნტებით და დღე და ღამ ერთის წუთისაც არ გვშორდება შიში: აი, ახლა გაიღება კარები, სხვა და სხვა მრავალ გვარ დაწესებულებების აგენტები შემოცვივნდებიან, გაგჩხრეკავენ, ზოგს ფანჯრებიდან ქუჩაში გადმოგიყრიან და შენც თან მიგაყოლებენ. დღეს კარში დიდით რომ გავდივართ, არ ვიცით, უკან როგორ დავბრუნდებით ცოცხალი, თუ მკვდარი, უვნებელი თუ ნაცემ ნატყეპი.

ეს უკანასკნელი სიტყვები გადამეტებულად ნურავის ეჩვენება, ამის დამამტკიცებელ რამდენიმე მაგალითს ქვევით მოვიყვან. ჯერ კი ისევ ამ საგანს უნდა დავუბრუნდე.

ჩვენ მმართველებს რომ ჰკითხავ, რაშია საქმე? ამ თავისუფლებებს, რომელთა მოპოვება თქვენ თვითონ ასე მწარედ დაგიჯდათ, რისთვისაც ასეთის თავგანწირვით იბრძოდით და რომლის ბაირაღი ხელში ახლა თქვენ გიჭირავთ, რად ზღუდავთ ასე, რატომ არ აძლევთ მათ ფართო ხასიათს, ხალხის სახელით მოპოვებული, რატომ არ ეძლევა იმავე ხალხს? რიხით გიპასუხებენ: ჩვენში რევოლიუციის მონაპოვარი ჯერ არ გამტკიცებულა. ჩვენში ჯერ კიდევ ანარქია, შიგნით ჯერ კიდევ ბევრი მტერი გვყავს, მოითმინეთ, ცხოვრება დაწყნარდება, წელში გავმაგრდებით, და მაშინ მოგცემთ იმ სამოთხეს, რომელსაც ჩვენ გპირდებოდით.

მაგრამ ეს ხომ რუსეთის პრემიერ მინისტრის სიტყვებია: ,,Сначала успокоеніе, потомъ реформы'', რომლისთვისაც ოპოზიციონურმა პარტიებმა იგი ჯვარს აცვეს. რამდენად მართალი იყო რუსეთის პრემიერ მინისტრი, ამის კვლევა ძიება რუსეთის რევოლიუციის ისტორიკოსს მივანდოთ, ჩვენ კი მივუბრუნდეთ ჩვენს მინისტრებს და ვკითხოთ: მართალნი არიან ისინი ამ შემთხვევაში, თუ არა?

არის თუ არა ჩვენში ანარქია? და თუ არის ვინ შექმნა იგი? გვყავან თუ არა შიგნით დაუძინებელი მტრები? და თუ გვყავან, ვინ არის ამაში დამნაშავე?

კავშირის თავმჯდომარე-გიორგი ნიკოლაძე, კავშირის ვარჯიშთავი-გიორგი ეგნატაშვილი და თავმჯდომარის ორი ამხანაგი-ირ. ლორთქიფანიძე და მიხ. პატარიძე. გამგეობის წევრები: ბენია ჩხიკვიშვილი, ექ. იოს. ალანიშვილი, ინჟ. ივ. ბერიძე, ივ. კუკაბაძე, გ. მერკვილაძე, რ. ნიკოლაძე პოლიევქტოვისა, ნ. შარაშიძე, ივ. მაჭავარიანი, ვლ. პროფოფოშვილი და დიმ ჩიკვაიძე. სარევიზიო კომისია: სპირ. ბაქრაძე, მიხ. ზანდუკელი და იას. მაჭავარიანი. კავშირთან იარსებებს მწვრთნელთა კრებული თავისი საბჭოთი, რომლიდანაც კავშირის გამგეობაში შემოვლენ: ვარჯიშთავის ორი შემწე (თამარ ნიკოლაძე და არჩ. ბაქრაძე) და ტან-ვარჯიშობის ორი ზემხედი (ინსპექტორი კაპ. გაიოზ ბერელაშვილი) (აღმოსავლეთ საქართველოში) და კაპიტ. დავ. ჯავრიშვილი (დასავლ. საქართველოში). კრებამ ერთხმად აირჩია გამგეობის საპატიო წევრებათ ორი პირი: დამსახურებული ჩეხელი შევარდენი-ანტონ ლუკეში და პირველი „შევარდენის“ თავმჯდომარე-პოლკოვნ. კონსტ. კაკაბაძე იმ ღვაწლისათვის, რომელიც მათ მიუძღვის საქართველოში შევარდნობის ჩანერგვაში და მისთვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრაში. კავშირს განზრახული აქვს ჟურნალის გამოცემა, რომლის პირველი ნომერი არა უგვიანეს ერთი თვისა უნდა გამოვიდეს, ჟურნალს ,,შევარდენი'' ერქმევა. კავშირის დროებითი მისამართია: ტფილისი, სახალხო განათლების სამინისტრო.

(ხ. დ. ს.)

ჩვენი კორესპონდენტები

სოფელი დაბლა-საქარა.

აგრარულ რეფორმის გატარებამ სამწუხაროდ თავიდანვე არასასურველი ხასიათი მიიღო და დღემდე ვერ გამოსწორდა ის დეფექტები, რომელთა დამაფიქრებელი ნიმუშები მრავლათ მოიპოება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მმართველი პარტია, მართალია დათმობაზე წავიდა და მიწის საკითხის გადაჭრა საერთოდ ადგილობრივ პირობებს შეუფარდა, მაგრამ ის ბოროტმოქმედებანი, რომელნიც შექმნა ამ საკითხის სისრულეში მოყვანამ, ყოველ კანონიერების, საზღვარს სცილდება.

სოფლად და პროვინციებში, ადგილობრივ კანონმდებელთა მეოხებით, უკმაყოფილოთა რიცხვი თანდათან იზრდება, რასაც აუცილებლათ ბოლო უნდა მოეღოს, თორემ ასეთი ატმოსფერა, რომელიც მიმართულია ხალხის ნებასურვილის წინაამდეგ, სამწუხარო შედეგს მოიტანს. საჭიროა ამას ანგარიში გაუწიონ უფრო იმ ელემენტებმა, რომელნიც რამდენიმე წლის წინეთ ხალხს ყველგან და ყველაფერში დახმარებას აღუთქვამდენ, ხოლო დღეს სხვანაირათ ბჭობენ, ხალხს დასცილდენ და მათთან საერთო ძაან ცოტა აქვთ, რაც აქვთ ისიც ისევ ხალხის სულგრძელობით.

მე არ მინდა ბრალი დავდვა ყველაფერში მმართველ პარტიას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათი პარტიული წევრები განსაკუთრებით პროვინციებში ზომიერების წრეს სცილდებიან, ივიწყებენ კანონს, რითაც დისონანსი შეაქვთ, როგორც თავიანთ პარტიის, ისე მცხოვრებთა ნორმალურ ცხოვრებაში, რასაც ხშირათ პარტიის მეთაურნი შინაურულათ ფარავენ პარტიის მთლიანობისათვის. ეს კი იწვევს სამართლიანობის დარღვევას. ამ მხრივ აღსანიშნავ მდგომარეობაშია შორაპნის მაზრა და განსაკუთრებით სოფელი დაბლა-საქარა. დაბლა-საქარა მდებარეობს ზესტაფონიდან რამდენიმე ვერსის დაშორებით. საქარის მცხოვრებლები უმიწობით ყოველთვის განიცდიდენ გაჭირვებას, მაგრამ წინეთ მათ ქონდა საშუალება ამ სოფელში მცხოვრებ მემამულე ქვებულიძიდან ეკლოთ სამესამედოთ საყანე ადგილი. რევოლიუციის შემდეგ კი მიწის ჩამორთმევის კანონის თანახმად ქვებულიძეს ჩამოერთვა ზედმეტი ადგილი და ჩაირიცხა საფონდოთ. გაჭირვებულ ხალხს ეხლა უფრო მეტი საშვალება მიეცა მისი სარგებლობის. მაგრამ საქარაში არსებულმა სანერგის გამგემ ბ-ნმა კ. მოდებაძემ მოისურვა ,,თავის'' სანერგის გაფართოვება და ხსენებულ ადგილს დაუწყო დაპატრონება. შორაპნის ერობის დახმარებით მან თითქმის მიზანს მიაღწია მაგრამ, სოფელმა გაგზავნა თავის წარმომადგენელნი მთავრობასთან, რომლებსაც დაავალა ქვებულიძისეული ადგილი დარჩენილიყო საფონდოთ, და სოფელს რომელიც მიწის სიმცირის გამო იძულებულია სხვა სოფელში ეძებოს საყანე, არ წართმეოდა მისი სარგებლობის საშვალება. მთავრობამ სოფლის მოთხოვნილება დააკმაყოფილა. ეს იყო შარშან.

სოფლის ასეთმა გაბედულობამ მოდებაძეს თავმოყვარეობა გაუამაყა და ტფილისში ჩასვლით საქმე შეატრიალა და, წელს ხსენებული ადგილი კიდეც შემოლობა მავთულით.

მე კარგათ ვიცი სანერგის მნიშვნელობა და საერთოდ მეურნეობის გაფართოვებას რა სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ჩვენს ქვეყანას ამ დარგში ჩამორჩენილს, მაგრამ დღევანდელ პირობებში, როცა მთავრობას ამის საშვალება არ აქვს (რაც უკვე აღნიშნა მიწადმოქმედების სამინისტრომ), როცა გართულებულ პირობების გამო ხსენებული ადგილი თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს და უმთავრესად: როცა სოფელს მიწა არა აქვს და შიმშილობს, ვერაფერი საზოგადო მოღვაწეობაა ასეთ მდგომარეობის დროს ხალხის შევიწროება.

ჩვენ გვახსოვს, თუ რა პირობებში იყო განსვენებულ სტაროსელსკის დროს საქარის სანერგე და ვხედავთ რა დღეშია ეხლა. უფრო კარგი იქნებოდა ბ-ნი მოდებაძე კარგათ მოუვლიდეს იმას რაც გაკეთებული არის. თორემ მევენახეობის სკოლის გახსნა მას დაბანდებს და ერთი რომ სოფელს შეავიწროებს და ვერც სკოლას გახსნის ჯერხნობით, მეორე: თავის მოვალეობის შესრულებას გაუძნელებს. (თუმცა უკანასკნელისათვის ცოტას ფიქრობს).

მოდებაძემ, როგორც ზევით აღვნიშნე ქვებულიძისეული ადგილი ორი ხლართი მავთულის შემოვლებით დაიმისა და ხალხს აუკრძალა მაში გარებაც-კი. ქვებულიძისეული ადგილი სოფლის შუაგულშია შეჭრილი და მცხოვრებლებს მისი სურვილის წინააღმდეგ ძალაუნებურათ უხდებათ მოქმედება. მიუხედავათ ამისა მათ მოდებაძემ აუკრძალა ქათმებისა და ოთხფეხის შიგ შეშვება და მიმართა შემდეგ ზომებს: დაიჭირა ქალები ივანობისთვეში, რომლებიც ტყეში (ჩამორთმეულ ადგილს აკრავს) სოკოებს კრეფავდენ და შეიარაღებულ დარაჯის საშუალებით ჩამოართვა ქალებს ნახევარი მოკრეფილი სოკოების და გააფრთხილა, რომ შემდეგ არ გაებედათ ტყეში შესვლა. დაიჭირა ღორი შვიდ გოჭიანი სვირელი კაცის, რომელიც პატრონს აღარ დაუბრუნა, დაიჭირა კიდევ ადგილობრივ მცხოვრებლების ღორები და დაამწყვდია ბაღში ყვავილების საზამთრო შუშაბანდებში, (,,ფეჩში'') რომელნიც ღორებმა დაამტვრია, რითაც მეტი ზარალი მიაყენა სანერგეს. დაიბარა პატრონები და დაემუქრა დაჭერით. წინეთ ღორი კი არა ქათამი ვერ შევიდოდა, ისეთი შეკავებული იყო, მაგრამ ეხლა ბ-ნ გამგეს გამგებლობით, რომელიც ახალ სანერგის გაკეთებას აპირებს, სანერგე გაპარტახებულ ეზოს გავს.

უფრო მეტი: შარშან როცა მცხოვრებლებმა ყანები მოტეხეს, თხოვეს სათემო ერობას ღალა მიეღო, ერობამ უარი განაცხადა, რაღაც მოსაზრებით. უკანასკნელათ კი მოდებაძემ სამაზრო ერობის დახმარებით წინადადება მისცა სოფელს მიეტანათ მისთვის ქცევაზე ორი ფუთი დაფშვნილი სიმინდი და ოცი კონა ჩალა, რაზედაც სოფელმა უარი განაცხადა და თხოვა მას მიეღო ფული, როგორც ეს მოხდა სხვა სოფლებში, ღალის მაგიერ, რადგან ადგილი მწირი არის და მოსავალიც ნაკლები იყო. როგორც გავიგეთ მოდებაძეს გადაუწყვეტია, თავის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მილიციის საშვალებით. აგრეთვე ამბობენ, რომ მოდებაძეს სანერგის ხარჯზე თურმე უამრავი ოთხფეხი და ქათმები ჰყავს, როგორც თავისი, ისე თავისი ახლო ნაცნობ-მეგობრების, ალბათ ეს არის მიზეზი მისი მტკიცე გადაწყვეტილების. ყველა ამის ჩამოთვლა გაზეთის ფურცლებზე შეიძლება დაწვრილმანება იყოს, მაგრამ ფრიად დამახასიათებელია ბ-ნ მოდებაძის გასაცნობათ.

ერთი სიტყვით, სოფელი რომელიც თავიდან ქვებულიძისეული ადგილით ირჩენდა თავს, დღეს მოკლებულია ისარგებლოს მით. ამიტომ კვლავ აირჩია წარმომადგენელნი, რომლებმაც უკვე ინახულეს მთავრობის თავმჯდომარე და მიმართეს თხოვნით: ქვებულიძისეული ადგილი დარჩენილიყო საფონდოთ დროებით მაინც. მთავრობის თავმჯდომარემ წარმომადგენელთ აღუთქვა დახმარება და თხოვნა შესაფერი წარწერით გადასცა მიწად-მოქმედების სამინისტროს. დარწმუნებულია სოფელი, რომ მათი სამართლიანი მოთხოვნილება, მათთვე სასარგებლოთ გადაწყდება, თუ მოდებაძე სანერგის ღვინით კიდევ არ შეეცადა საქმის მოჯახრაკებას, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოდებაძე ჯიბრობას თავს დაანებებს სოფელთან და თავის სიტყვებს: ,,მე თქვენ გაჩვენებთ ვინცა ვარ“ ო—უკან წაიღებს.

უმადური.

წერილი რედაქციის მიმართ.

,,სამწუხარო ინციდენტის'' გამო.

2 იანვარს მომხდარ უსიამოვნებას მეც დავესწარი. ბ. ს. წერეთელი რასაც მოგვითხრობს, სამწუხაროთ, მეც ვადასტურებ და ჩემის მხრივ დავუმატებ შემდეგს: ბ. წერეთელი რომ თავხედი გვარდიელის მსხვერპლი არ გამხდარიყო, საქმეში ჩავერიე, ხვეწნა-მუდარით მივმართე გვარდიელს დაწყნარებულიყო და იარაღი არ ეხმარა, მაგრამ ჩემი თხოვნა არამც თუ არ შეიწყნარა, კბილების ჩამტვრევითაც კი დამემუქრა... ბ. წერეთელს არ ვშორდებოდი, რადგანაც გვარდიელების ჯგუფი რაღაცას უპირებდა.

ქალაქის აფთიაქის წინ, წერეთელის სადღაც წაყვანას მოითხოვდენ. მე წერეთელს ვესარჩლებოდი და დამნაშავე გვარდიელს ვამტყუნებდი ამხანაგების წინაშე. ამ დროს ორმა გვარდიელმა შუა ქუჩისაკენ გამიტაცა იქ მოკვლას დამემუქრენ, სიბნელის გამო, სამწუხაროთ, მათი სახე ვერ დავიხსომე წერეთელი აფთიაქში შეიპარა და ამით უშველა თავს. გვარდიელები აფთიაქშიაც შევყვენ. ჩემი ჯალათებიც მუქარით აფთიაქისაკენ წავიდენ. მე ,,ბურჟუათ'' ჩამთვალეს (რადგან თბილი პალტო მეცვა) და კიდევ დამემუქრენ, თუმცა მე არა დამიშავებია რა, მხოლოდ ვიცავდი უდანაშაულო კაცს.

ეს უსიამოვნება უბედურებით გათავდებოდა, რომ მხსნელად ქალაქის აფთიაქის მოსამსახურენი არ გამოგვჩენოდენ.

რადგან წერეთელი აფთიაქში დაიმალა, ვიცოდი რომ მას იქ ხიფათი აღარ მოელოდა, მეც თავი დავახწიე უსიამოვნებას და წამოვედი მწარეთ გულ-მოკლული. მით უფრო, რომ როდესაც ცხინვალისა და საჩხერის აჯანყება მწვავეთ მოევლინა ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას, ამ დროს მე სოფელში გვარდიელებს ვაქებდი და გვარდიის მნიშვნელობაზე ვესაუბრებოდი ხალხს. ამიტომ მობოლშევიკო ჯარის-კაცებმა სიკვდილი დამიპირეს.

სამწუხაროთ ახლა დედა ქალაქში თვით გვარდიელები დამემუქრენ სიკვდილს იმიტომ, რომ ,,ინტელიგენტს'' ,,კრახმალიანს'' ვესარჩლებოდი მე არა მგონია და ვერც დავიჯერებ რომ 2 იანვრის გმირი გვარდიელი ჩვენი სახელმწიფოს კეთილ დღეობისათვის იყოს შესული გვარდიაში. არა, ეს უსათუოდ ანარქიის მოსახლენი და გვარდიის სახელის გასატეხათ არის შეპარული გვარდიაში. ასეთები რამდენიც ადრე გაიცრილებიან გვარდიიდან, იმდენათ კარგი იქნება, როგორც ჩვენი სახელმწიფოსათვის, ისე გვარდიის ღირსება-სახელისათვის.

მოხუცი ვასილ კარჯაძე.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის,
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სახული—მილას ავათმყოფობას ვექიმობ ,,ნეიმანის და ვესსელის'' მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოოტეხნიაზე'' (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2

კბილის ექიმი
ნიკოლოზ თემურაზის ძე
ხორავა
ჩამოვიდა მოსკოვიდან და იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილით 10—2 საათ. და საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქუჩის კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ აზარიანცის ბინა № 20 ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა № 3208.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ფლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეთში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ფლექების აპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 3314

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასია ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ექიმი
ა. ე. ლევანშტეინი.
იღებს რენტგენისა და ელექტრონით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და აგრეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებით შინაგან ორგანოთა და ჭრილობათა გამოკვლევას. წამლობა დიდი ძალის ტოკით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა 3. ტელ. 12-46.
მიღება 11-12 და 4 7 საათამდე.

თვალების ავადმყოფობის
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდე ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიული სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

ვინ უშლის ხელს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და რევოლიუციის მონაპოვარის განმტკიცებას?

ქართველი ხალხის საქებლად და სადიდებლად უნდა ვსთქვათ, რომ არც თავში, როდესაც ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა და არც დღეს, როდესაც ცხოვრება ასე თუ ისე დაწყნარდა, ჩვენში ანარქიას ადგილი არა ჰქონია და სრული იმედია, არც ექნება. ხალხმა თავისუფლება მოიპოვა, გაიხარა, აირჩია მოწინავე პირები, მიანდო მათ მმართვა გამგეობის საქმე და თვითონ საქმეს დაუბრუნდა. ანარქია არ შეუქმნია ქართველი ხალხის არც იმ ელემენტებს რომელნიც რევოლიუციამ მატერიალურად დაზარალა. ყველაზე მეტად დაზარალდა თავადაზნაურობა, მაგრამ მას თავის დასაცავად არამც თუ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, კრინტიც კი არ დაუძრავს. დაკმაყოფილდა იმით, რაც მისცეს და მუშაობას მიჰყო ხელი. ასევე მოიქცა ჩვენი ბურჟუაზია, ასევე მოიქცა ჩვენი სამღვდელოებაც. მათი პატრიოტიზმი იქამდის მიდის, რომ გულწრფელად ამბობენ: ოღონ ჩვენი სამშობლო განთავისუფლდეს,- ოღონდა ბატონი ნუ გვეყოლება, ოღონდა ჩვენი ერი აღორძინდეს და რაც დაგვრჩა ისიც წაიღეთ, სიცოცხლეც კი შეიწირეთო.

ეს ასეა, ამას დიდი მტკიცება არ უნდა. ყველა ეს ჩვენ თვალ წინ მოხდა და ამის ცოცხალი მოწმენი ყველანი ვართ. ხოლო ანარქია ჩვენში იყო და არის. ვინ ჰქმნიდა ამ ანარქიას? პირველში ნაძირალა ელემენტები, ყაჩაღები, ქურთ-ბაცაცები და სხვა, მაგრამ ისინი ჩვენმა მთავრობამ მალე ალაგმა და ძარცვა გლეჯა, ქურდობა და სხვა გვარი ძალმომრეობა სათავეშივე მოისპო. მას შემდეგ ვინ ყაჩაღობს? ვინ ქურდობს? ხაზ. ვინ სძარცვ.? ვინ არღვევს სახელმწიფოებრივ წესწყობილებას? არა ქართველი მუშა, არა გლეხი, არა ვაჭარი, არა ინტელიგენტი, არა მღვდელი და ბერი, არამედ საზოგადო და ადმინისტრატიულ დაწესებულებათა მსხვილი და წვრილი მოხელენი, რომელთა ცოდვაში ბრალი უდევს მხოლოდ ჩვენს მთავრობას, სხვას არავის.

ვინაა ჩვენი მტრები? ვინ სტეხავს შიგნიდან ციხეს? თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ქართველი, რადგან ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ის მცირე ნაწილი ქართველ ბოლშევიკებისა, რომელიც დღეს აქ მოქმედობს, თუ სცდება, სცდება გულწრფელად, მას სამშობლოს მტრობა არა სურს და ჩვენს ციხეს შიგნიდან არ გატეხავს. ჩვენი მტერია, მტერი დაუძინებელი—ის ათასი სხვა და სხვა რჯული და ეროვნების არა—ქართველობა, რომელმაც აავსო ჩვენი ორი ქალაქი თბილისი და ბათუმი, რომლებსაც გულში ვიხუტებთ, როგორც გველს, რომელსაც ვაძლევთ პირიდან გამოღებულ ლუკმას, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით, რომელსაც ვაძლევთ ბინას იმ დროს, როდესაც ჩვენ სამზარეულოებში ვიკრუნჩხებით, ეს ჩვენი ,,სვინიდისიანი'' სტუმრები გვღრღნიან სისხლს, ზიზღს გვანთხევენ, არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რომ რითიმე დასცენ, დაასუსტონ ჩვენი სამშობლო და მის არსებობას ბოლო მოუღონ. ვინ შემოუშვა იგინი ჩვენს გამაგრებულ ციხეში? ვინაა მათი მოქმედების პასუხისმგებელი? ვინ გაუღო კარი ბოლშევიკებს, მათ მისსიას, მათ პუბლიცისტებს, მათ პროპაგანდისტებს, რომლებიც მუდამსავით დაძვრებიან ჩვენი მიწის ყოველ კუთხეში? ვინ აძლევს საშუალებას მრავალგვარ არა ქართველ სპეკულიანტს, რომელიც აშკარად ჩვენს ქუჩებში, როგორც პირადი სარგებლობისათვის, ისე პოლიტიკური მიზნით, აძვირებს სავაჭროს, სანოვაგეს და ძირს უთხრის ჩვენ ვალიუტას?

ვიცით, კარგად ვიცით, რომ მთავრობა იბრძოდა და იბრძვის ამ ანარქიას, ანარქიის შემქმნელთ, მაგრამ ჯერ ერთი კარგად ვერ ებრძვის და კარგადაც რომ იბრძოდეს ეს მისი საქმეა. თავის მიერ გაფუჭებული საქმე, თვითონვე უნდა გამოაკეთოს, ხოლო თვისი და სხვისი ცოდვა არ უნდა გადააბრალოს იმ ქართველს, იმ თავისუფალ მოქალაქეს, რომელმაც სამშობლოს მართვა-გამგეობა მათ მიანდო, თვითონ კი მუშაობას დაუბრუნდა და კარგის მოლოდინში დღეს დიდი გაჭირვებით ლუკმა პურსა შოულობს.

აი ეს ქართველი მოქალაქე მოკლებულია ყველა თავისუფლებას, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალე. ეს ქართველი მოქალაქე, რომელიც მზადაა მთავრობის დაძახებაზე სამშობლოს დასაცავად ცოლშვილი დააგდოს და მოწინავე რიგებში იარაღით ხელში მოჰკვდეს, ეს ქართველი დაჩაგრულია მთავრობისა და მისი აგენტების მიერ, რომელთა შორის თვალსაჩინოა ჩვენი მილიცია და გვარდია, რომელიც ხშირად, არ ვიცი რა უფლებით, მილიციის როლს ასრულებს.

ისიც ვიცით, რომ მთავრობას დიდი ბრძოლა და დიდი შრომა დასჭირდა მილიციისა და გვარდიის გასაწმენდათ მავნე ელემენტებისაგან, ვიცით აგრეთვე, რომ ამ ბრძოლას და შრომას დღესაც აწევს, მაგრამ ჩვენ მთავრობას ორი აშკარა სენი სჭირს: პირველი ისა, რომ არა სჯერა საქმის სიყვარული და გულწრფელობა იმ ადამიანისა, რომელიც მის წინაშე ფაქტებით ხელში წარსდგება და მიუთითებს მთავრობის ამა თუ იმ მოხელის ბოროტმოქმედობაზე, ან უვარგისობაზე, და მეორეც ისა, რომ რაც გასაკეთებელია, აკეთებს, მაგრამ ყველგან და ყოველთვის ძალიან დაგვიანებით.

კ. ნინიძე, დამფუძნებელი კრების წევრია და მისი ბინის აფუტკვნა და ამასთან ხელით შეხება აგრე სახუმარო არ არის. ეს საქმე ვერ დაიფარებოდა და ამიტომაც ფართო ხასიათი მიიღო და საზოგადოება აალელვა, მაგრამ რომ იცოდეთ, მთავრობის უპასუხისმგებლო აგენტის მიერ რამდენი უბრალო მომაკვდავი მოქალაქე დარბეულა და გალახულა, რამდენი კაცი და ქალი ატირებულა უძლური ცრემლებით, რადგან გული ვერაფრით ვერ მოუფხანია და ვერ დაუმშვიდებია!

სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ როგორც მთავრობა ისე მისი აგენტები მტრულად და ამასთან უდიერად ეპყრობიან მხოლოდ ქართველებს, სხვა ტომის ხალხს, რომელსაც ჩვენი თავისუფლება გულზე ლოდივით აწევს, ისეთის ზრდილობით, ისეთი ჩინური ცერემონიით ექცევიან, რომ არ იცი, რას მიაწერო იგი, ლაქიობას თუ გადაჭარბებულ სტუმრის მოყვარეობას.

რუსს, ინგლისელს და სხვას შეუძლიან ჩვენ მთავრობასთან მივიდეს, ფეხები აბრახუნოს, იყვიროს, იმუქროს (ამის მაგალითი რამდენიმე იყო) ხოლო ქართველს არ შეუძლიან, მტკივან გულის მოსაფხანად ზურგს უკან სიტყვა სთქვას.

გაზეთ ,,კომუნისტს'' შეუძლიან თავის ფურცლებზე ჩვენი მთავრობისა და ჩვენი თავისუფლებისმიმართ შხამი ანთხიოს, აგინოს, ლანძღოს, მკითხველებს აჯანყებაზე მოუწოდოს, ეს არაფერი, ხოლო გაზეთი ,,საქართველო'', რომელიც სცდილობს ჩვენი მთავრობა გაამაგროს სამშობლოს თავისუფლების დაცვაში, და ამის გამო ხშირად უთმობს, ისეთ რამეს, რასაც სხვა პირობებში არაფრის გზით არ დასთმობს, თუ შინაურ საქმის გამო თავისი აზრი გამოსთქვა და ეს აზრი მთავრობის აზრს არ ეთანხმება, მტრის დამარცხებულ ბანაკად იქცევა ხოლმე.

სომხური, რუსული და სხვა ეკლესიები და სამღვდელოება ჩვენი მთავრობის მიერ პირში შვილივითაა მიჩნეული, ხოლო ჩვენი ეკლესია, ჩვენი სამღვდელოება აშარი დედინაცვლის გერია, დაჩაგრული, მოძულებული. შიშველ ტიტველი და მშიერი.

ესა და ეს ბინა ანგორის წარმომადგენელ ქიაზიმ-ბეისთვის გვინდაო. ჩვენს დეპუტატს, ხალხის მიერ არჩეულ, წარმომადგენელს, ჩვენი მთავრობა ამ ბინიდან ბარგს ქუჩაში უყრის, ავადმყოფ ბავშვებს უწიოკებს და თვით დეპუტატს ხელით შეურაცხყოფას აყენებს. განა სხვანაირად არ შეიძლებოდა საქმის მოგვარება?

საზოგადოდ მთავრობას თუ ბინა სჭირდება ,,[illegible]'' სთვის, ან სხვა რაიმე მიზნით, წავა და უსათუოდ ქართველს დაეტაკება. სხვას კი ნაკლებად ახლებს ხელს.

ჩვენ ქალაქში ათასგვარი და ათასი ჯურის სპეკულიანტი დადის და ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას ძირს უთხრის, ჩვენი გვარდიელები კი დადიან ქუჩებში, იჭერენ პროვინციიდან დროებით ჩამოსულ ქართველ მოქალაქეებს და ყარაიაზში შეშის საჭრელად აგზავნიან. დამიჭირეს და ორი საათი, მაწამეს მეც თქვენი მორჩილი მონა, თუმცა ვუჩვენე პასპორტიცა და იმ ქართულ სახელმწიფო დაწესებულების მოწმობაც, სადაც მე ვმსახურობ.

რუსის რესტორანს ,,მეფისტოს'', სომხების რესტორანებს ,,ინტერნაციონალი'' და ,,უნიონი'' რუსთაველის ქუჩაზე თავისუფლად ვაჭრობენ და სტუმართ ტყავს აძრობენ, მაშინ როდესაც დაჰკეტეს ორი ქართული კლუბი, თქვენი ბუფეტები სანოვაგეს აძვირებენო.

რამდენი ერთი ჩამოვთვალო?

ამასთან არ შემიძლიან, აქ არ მოვიხსენიო ის მტრული, უხეში და ბრიყვული მოპყრობა წვრილი აგენტებისა, როდესაც ისინი ჰკეტავენ ქართულ დაწესებულებას, როდესაც ჩხრეკენ ქართველების ბინას და ან ატუსაღებენ ქართველებს, მხოლოდ ქართველებს, რადგან სხვა ტომის ხალხს შედარებით ზრდილობით ეპყრობიან.

ამის დასამტკიცებლად მოგიყვანდით ბევრს მაგალითს, მაგრამ მხოლოდ ერთს მოვიყვან.

გასულ ზაფხულში ერთ-ერთ კლუბში ვახშმობის შემდეგ ერთმა ახალგაზრდა ყმაწვილმა ქართველმა თავისი ცოლით, ახალგაზრდა ქართველმა აფიცერმა თავისი დანიშნულით და ერთმაც მათმა მახლობელმა მოისურვეს ავტომობილით ქალაქ გარედ გასეირნება.

სურვილი ,,ბურჟუაზიულია'', გეთანხმებით, მაგრამ თქვენც უნდა დამეთანხმოთ, რომ როგორც უნდა იყოს, იგი უმანკო და უცოდველი.

ბოლოს ეს მოსეირნენი ორთაჭალაში მოჰყვნენ. უკვე გათენებული იყო. ერთ ერთი სალხინო ბაღში შეუხვიეს და გარედ, ეზოში სუფრა გააშლევინეს. წამოსვლის დროს, ბაღის პატრონსა და აფიცერს ანგარიშის შესახებ ლაპარაკი მოუვიდათ, გამოირკვა, რომ პატრონს ანგარიშის ჯამში ასი თუმანი მეტი შეეპარებინა. ეს ხშირი მოვლენაა ამ გვარ რესტორანებში და იმის მაგივრად, რომ პატრონს ბოდიში მოეხადნა და ანგარიშის ჯამი შეესწორებინა, აფიცერს უკმეხი და უზრდელი ლაპარაკი დაუწყო. აფიცერმა ველარ მოითმინა და ერთხელ სილა გაარტყა. ეს იყო და ესა. პატრონი სადღაც მიიმალა. აფიცერი დახლთან მივიდა, დანახარჯი გადასცა, ყველანი ქუჩაში გამოვიდნენ, ავტომობილში ჩასხდნენ და ავტომობილი რომ დაიძრა, უცბად მოესმათ საშინელი ყვირილი: გაჩერდით, გაჩერდით, თორემ გესვრით!! უკან მოიხედეს და დაინახეს თოფიანი გვარდიელი ავტომობილისაკენ გამომქროლი თოფებით, ავტომობილი გაჩერდა. გვარდიელები შემოეხვივნენ და კონდახებით ქალებიც და კაცებიც ძირს გადმოჰყარეს. „თქვენ აქ „სკანდალს“ აკეთებთო“ რამდენიმე გვარდიელმა აფიცერი გააკავეს და ამით შველის საშუალება მოუსპეს და დაუწყეს უმოწყალო ცემა თოფის კონდახებით ქალებსაცა და კაცებსაც. ვინ იცის რითი გათავდებოდა საქმე, ამ დროს მილიციონერები რომ არ გაჩენილიყვნენ და გამხეცებულ გვარდიელების ხელებიდან არ გამოეგლიჯათ დასისხლიანებული, გვერდებ ჩალეწილი ქალები და და კაცები. გვარდიელებსა და მილიციონერებს კინაღამ შეტაკება არ მოუვიდათ. მილიციონერები უმტკიცებდნენ გვარდიელებს, რომ „სკანდალისტების“ დაჭერა და პასუხისგებაში მიცემა მილიციონერების საქმეა და არა გვარდიელებისა, რომ მათ ცემის ნება არა აქვთ და სხ. მიუხედავათ ამისა ძალზე ნაცემ-ნატყეპი ისინი წაათრიეს თავიანთ შტაბში, რის შემდეგ მილიციონერებმა სთხოვეს გალახულებს, ახლა ჩვენ კომისარიატში წამობძანდით, ჩვენ მოწმეებათ დაგიდგებით და კომისარი გვარდიელების საქციელის გამო ოქმს შეადგენსო. კომისარმა მილიციონერებისვე ჩვენებით ოქმი შეადგინა, მაგრამ სად არის ახლა ეს ოქმი, არავინ იცის.

ახლა ვკითხოთ, რამ ააშფოთა და აალელვა ესე ძალიან-მედუქნის ერთი სილის გარტყმევამ? ან რა საქმე ჰქონდა ამ „სკანდალთან“ გვარდიელს, რომლის სახელს, სამშობლოსა და რევოლიუციის მონაპოვარის დამცველის, ჩვენს თვალში დიდად საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს? აქ მხოლოდ ორი მოსაზრებაა. ან გალახული მედუქნე მათი დიდი მეგობარი იყო და გული ძალიან დაეწვათ, ან და დრო იპოვნეს და „ბურჟუები“ გალახეს.

ვიმეორებ, დეპუტატი კ. ნინიძის შეურაცხყოფა არც პირველია და უკანასკნელი. და სამწუხარო ის არის, რომ იმ დროს როდესაც ჩვენში მრავალი სხვა ტომის მტერი-ხალხი, განცხრომით სცხოვრობს, ჩვენ, ქართველები, ჩვენს განთავისუფლებულ საყვარელ სამშობლოში შიმშილთან ერთად ცემა-ტყეპასაც განვიცდით.

მოხუცი.